

987/3

თბილისის უნივერსიტეტის ჟურналი

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА

PROCEEDINGS OF TBILISI UNIVERSITY

269, 1987



ISSN 0376 — 2637

ლიტერატურამცონველობა
ЛИТЕРАТУРОВЕДЕНИЕ
LITERARY RESEARCH

(84) p. 269

თბილისი თბილისი TBILISI

1987



თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა

ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА

TBILISI UNIVERSITY PRESS





269 V

ЛИТЕРАТУРОВЕДЕНИЕ
LITERARY RESEARCH

სარჩევამცირო კოლეგია:

ელგუჯა წინთიბიძე (რედაქტორი), ნოდარ კაკაბაძე, რევაზ ყარალაშვილი,
გასტრონ ბუაჩიძე, არიანე ჭანტურია, გიორგი გეგოლოვა, კონსტანტინე გრა-
სიმოვი, თენგიზ კიკაჩეიშვილი, ბეჟან კილანავა, მარიკა ოძელი (მდივანი).

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Хинтибидзе Э. Г. (редактор), Какабадзе Н. М., Карапашвили Р. Г.,
Буачидзе Г. С., Чантuria А. А., Гиголов Г. М., Герасимов К. С.,
Кикачешвили Т. А., Килашава Б. И., Одзели М. В. (секретарь).

EDITORIAL BOARD:

Elguja Khintibidze (editor), Nodar Kakabadze, Revaz Karalashvili,
Gaston Buachidze, Arrian Chanthuria, Giorgi Gigolov, Konstantin Gerasimov,
Tengiz Kikacheishvili, Bezhani Kilanava, Marika Odzeli (se-
cretary).

© თბილისის უნივერსიტეტის განომექმლობა, 1967

გამომცემლობის რედაქტორები: ც. ხეთერელი

მ. ჩხადიძე, ს. ხანგულაძი

ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელი

კორექტორი ე. გონგილაშვილი

გადაეცა წარმოების 17.02.86. ხელმოწერილია დასაბუძად 6.10.87

უ 09702. საბჭედი ქაღალდი 70X1081/16. პირობითი ნაბეჭდი

თაბაზი 17,85. სააღრ.-საგამომც. თაბაზი 14,71.

ტირაჟი 300. შეკვეთის № 325.

ფასი 1 გან. 10 გრ

თბილისის უნივერსიტეტის განომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1,
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.

ერთხელ პილებ რუსთაველის ე. შ. არაგველი ლექციების გამო

ლეკცია მინაბაზე

ჩვენი საუკუნის ოციანი წლების დამდეგს ათენის ბერძნულ გაზეოში საერთო სათაურით — „ქართული პოეზია“ დაიბეჭდა რუსთველის ბიოგრაფია მისი ორი ლექციი („ურნი სამოთხის“, „სიმღერა“), აგრეთვე უცნობი ქართველი პოეტის ლექციები („ერთი ამბორისათვის“, „ჩემი ტრატიია“). მოელი იმ მასალის მთარგმნელად დასახელებული იყო ვინმე ტრიკოგლიძისი.

ამის თაობაზე გაზეთ „ლომისის“ რედაქციის თანამშრომელმა ვ. გუგუშვილმა საბერძნეთიდან მიიღო, — რედაქციის სიტყვებით რომ ვთქვათ, — „სენ-საცორი წერილი“, რომელიც „მიუხედავად სენსაციური ხელითისა“, რომ გორც „მაინც საინტერესო“, გამოაქვეყნა „ლომისია“ ბერძნული გაზეთიდან გორც თარგმნილ მასილასთან (რუსთველის ბიოგრაფია, მისი ლექციების, — უფრო ზუსტად: მისი სახელით დაბეჭდილი ლექციების „ურნი სამოთხის“, „სიმღერა“, — პროზაული თარგმანი) ერთად [1].

წერილში იყო ცნობები ქართული ლექციების მთარგმნელზე, აგრეთვე მის არაბულ წყაროზე. იმ ამ წერილის ერთი ნაწყვეტი:

„ტრიკოგლიძის არის ბერძენი მწერალი, რომელსაც დამთავრებულია აღმოსავლური ენების ფაზულტები და რომელიც დღეს ცხოვრობს ჰქონია აღმოსავლური ენების ფაზულტები და რომელიც დღეს ცხოვრობს ჰქონია აღმოსავლური ენების ფაზულტები და აქვს თუ ათინაში. როდესაც მის ვკითხეთ, თუ სიიდან თარგმა ეს ლექციები და აქვს თუ არა ხელთ რაიმე დოკუმენტი შოთა რუსთაველის შესახებ, მან გვიპასუხა: „ჩემს ეგვიპტუში ყოფნის დროს ჩემმა მასწავლებელმა პროფესორმა მაჩუქა ერთი არაბული წიგნი. იმ წიგნს დროთა განმავლობაში დაგარგვია წინა და ეკანა ფურცლები და ამიტომ ძნელი გამოსაცნობია, რომელ საეკუნეს ეკუთუკიანი წიგნში მოთავსებულია აზიის ენების გამოჩენილი მგლნების ნაწარმოები. სწორედ ამ წიგნში ენაზე ქართულიდან ნათარგმნი რუსთაველის ორი ლექციი და ორიც სხვა, რომელთაც შენიშვნა აქვთ — უცნობ ქართველ პოეტს ეკუთვნიანო. ესენი არაბულ ენაზე ლექციაზე არის დაწერილი და თავისი სიმბოსი ჩინონი სიმბოსი ჩინონი. მეორე გრძელი ტრიკოგლი არის დაწერილი და გადმოვთარგმნე ისინი ბერძნულ შენიერობით ნათარგმნი. ამიტომ გადმოვთარგმნე ისინი ბერძნულ ენაზე ორი წლის წინათ (პროზად აქვს ნათარგმნი). იმ წიგნში ყოველ ნაწარმოებს წინ უძღვის აგტორის მოკლე პიოგრაფია. იმ ქართულ ლექციებთან ერთად მოყვანილია რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობა, რომელიც ლექციებთან ერთად გაღმოვთარგმნე“.

ია, სულ რაც გვითხრო ტრიკოგლიძისმა იმ ლექციების შესახებ. იმ წიგნში სხვა რამ ცნობა საქართველოს შესახებ არაფერია. მხოლოდ ყოფილა კიდევ ერთი „ტრიკოგლი“ ლექციი, რომლის ავტორია არ ყოფილა დასახელებული. სამწუხაროდ, ეს წიგნი მე მაშინ ვერ ვნახე, რადგან ტრიკოგლიძის დადი ზიდლიოთექა აქვს და გაჭირდა მოქებნა. მე ეს ლექციები გადმოვთარგმნე ბერ-

ქართულად (სხვათა შორის, არაბულ წიგნში რუსთველი არის და არა რუსთველით, გვითხრა ბერძენი მწერალმა)“.

შემდეგი მუხლის

საბერძნეთიდან მიღებული წერილი, რომლის ავტორის ვინაობა გაზითის მკითხველებისათვის უცნობი დარჩა, სიზუსტეს მოგლებული იყო — არა სახელებდა ბერძნული ორგანის სახელწოდებას და პუბლიკაციის თარიღს, გარკვევით არა აღნიშნავდა, არაბული წიგნი ხელნაწერი იყო თუ ნებეჭდი (“თუმცა, — „ლომისის“ სიტყვით, — ხელნაწერი რომ ყოფილიყო, ვეჭვობთ, ბ. ტრიკოგლიდისს მიეღო იგი საჩუქრად და თუ მიიღო, ახეთი ძვირფასი წიგნის მოძებნა თვის პიბლიოთეკაში, ეფიქრობთ, არ გაუჭირდებოდა”) და ა. შ. მაგრამ, მიუხედავად მისა, იგი ზოგიერთ საყურადღებო ცნობას მაინც აწვდიდა ქართველ საზოგადოებრიობას.

სულ მაღა გ. ლეონიძემ თენიდან მიიღო ნ. მათიკაშვილის წერილი, რომელიც, ანალიგიური შინაარსისა იყო, და დამატებით ჟეიცავდა უცნობი ქართველი პოეტის ლექსების („ერთი ამბორისათვისის“, „ჩემი ტრფობა“) პროზაულ თარგმანს. წერილში აღნიშნული იყო, რომ ქართველთა თხოვნაზე — „ეჩვენებინა ან მოყყიდა ის არაბულ წიგნი“, ტრიკოგლიდისს უპასუხებია: „შეუძლებელია მოტელა წიგნებში (რაც მე მაქვს) მისი პოვნათ და თქვენ თხოვნას ვერ ფიქრულებთო“. „როგორც ეტყობა, — დასძენდა ნ. მათიკაშვილი, — ბევრი ფული უნდა და მისთვის იძნელებს საქმეს“.

ნ. მათიკაშვილის წერილი და რუსთველისა და უცნობი ქართველი პოეტის ლექსების პროზაული თარგმანი გამოაქვეყნა ვაზეთმა ჯამახტრიონმა“ [2].

ასე რომ, თითქმის ერთდროულად, სულ რაღაც ორიოდე ოვეში, ქართველმა მკითხველებმა მიიღეს რუსთველის ბიოგრაფიის, მისი ორი ლექსისა და უცნობი ქართველი პოეტის ლექსების თარგმანი, შესრულებულ ბერძნულიდან, რომელიც, თვისი მხრივ, ტრიკოგლიდისის ჩვენებით, არაბული წყაროდან იყო გადმოიღებული.

ბერძნულიდან თარგმნილი ლექსების გამომცემელი, რასაკვირველია, გრძნობდნენ, რომ არასრულფასოვან მასალის ბეჭდავლნენ და იმ ლექსების იდეური სილრმითა თუ მხატვრული ელვარებით მაინცდამაინც ვერ გაიხარებდნენ რუსთველის თაყვანისმცემელთ. აյი ამიტომაც წერდა „ლომისი“: „ეპის გარეშეა — ლექსი რუსთაველის კალამს სრულიად არ შეეფერება. დი წმინდა არაბული ყაიდისაა. როგორ მიეწერა იგი რუსთაველს, თუ მართლა არაბულ წიგნშია მოთავსებული, ძნელი გამარკვევია“. ნ. მათიკაშვილსაც კარგად ესწოდა, რომ ეს „ლექსები, — ქართულიდან არაბულზედ ლექსიად ნათარგმნი, იქიდან ბერძნულზედ და შემდეგ ქართულზედ პროზად გადმონათარგმნი, — რაღა თქმა უნდა, სულ დაპარგვადნენ თვისი ღირებულების“.

ჩვენთვის გვაან ვახდა ცნობილი, რომ ლექსების მთარგმნელი ოვითონაც გრძნობდა, რომ რუსთველის „მე-12 საუკუნის ქართული ენით დაწერილი ლექსი, გადათარგმნილი არაბულ ენაზე, არაბულიდან გადმოითარგმნილი ბერძნულზე და დღეს ბერძნულიდან ისევ თვისი ნშობლიურ ენაზე“ ამეტყველებული, რასაკვირველია, ვეღარ იქნებოდა სრულყოფილი და მოწონებას ვერ დაიმსახურებდა [3].

მართლაც, ათენიდან მიღებულ მასალებს ქართველი მკითხველები ეჭვით შეხვდნენ, პროზაულად თარგმნილ ლექსებს უნდობლად მოეკიდნენ და არ გმოეშმაურნენ; ქართველმა საზოგადოებრიობამ თავი შეიკავა, ქართულმა მეცნიერებამ დუშმილი ირჩა, სხვათა შორის, ბერძნულიდან თარგმნილი ლექსები

ბის რუსთველისეულობა „ბახტრიონის“ რედაქტორს გ. ლეონიძესაც საეჭა
კოდ მიაჩნდა ([4], 94).

1965—1966 წლებში რუსთველის ე. წ. არაბულ ლექსებს დაუბრულებულია
მამულაშვილი, რომელმაც ჯერ განეთ „ქუთაისიში“ [5], ხოლო შემდეგ უკრ-
ნალ „დროშაში“ ([6], 17) გამოაქვეყნა სპეციალური წერილები. მან მიმოხი-
ლა საკითხის ისტორია, დაიმოწმა ათენის ქართველი სტუდენტების ცნობე-
ბი, კერძოდ, მათი ნაამბობი ტრიკოგლიდისთან შეხვედრისა და საუბრის შესა-
ხებ და ჩვენს პრესაში პირველად აღნიშნა, რომ ტრიკოგლიდისი აღექსანდრი-
აში სწავლობდა და იქ მიიღო საჩუქრად დახმეცილი არაბული წიგნი, საიდა-
ნაც თარგმნა ლექსებით. მასთანაცვე, მან პირველმა გვამცნო, რომ ტრიკოგ-
ლიდისის პუბლიკაცია ორაზუსტი იყო: „ტრიკოგლიდისი პირველად თოხი
ქართული ლექსიდან ორს [„ურნი სამოთხისი“, „სიმღერა“] რუსთაველისად
ასახელებდა, ორს კი [„ერთი ამბორისათვის“, „ჩემი ტრიფონი“] — ხალხუ-
რიდ, მაგრამ საუბრის ბოლოს განაცხადა: „მეშლება, რუსთაველს სინამდვი-
ლეში ის კი არა, ეს ორი ხალხური ლექსი ეპუთვნისო“.

გ. მამულაშვილმა გამოაქვეყნა რუსთველისეულად მიჩნეული ლექსები —
„ერთი ამბორისათვის“ (ხაწილობრივ) და „ჩემი ტრიფონი“ („ქუთაისი“), და-
ხეჭდა რუსთველის ბიოგრაფიაც („ქუთაისი“, „დროშა“).

მაგრამ გ. მამულაშვილის წერილებში ეს არაა მთავრი. მთავრი ისაა,
რომ გ. მამულაშვილმა — პირველმა ჩვენს სინამდვილეში — პირდაპირ და
გარკვევით აღნიშნა ტრიკოგლიდისის ყალბისმქნელობა. ათენის ქართველი
სტუდენტების ტრიკოგლიდისთან მისეული და საუბარი მან ისე აგვიშერა:
„ტრიკოგლიდისი ღარიბი, მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონი ადამიანი გა-
მოდგა. ხანგრძლივი გამოყითხვის შედეგად ბერძენი დაიბნა და ამის თქმადა
მთახერხა: „რა ვინდათ ჩემგან, რუსთაველზე ცუდი ხომ არაფერი დამიწე-
რია!“ გამოირკვა, რომ ტრიკოგლიდისმა ეს ქართული ლექსები თვითონვე
გან მთეთ შინაარსი და ფორმა სიზმარივთ ახსოვდა, ამიტომ მათი მსგავსი
სრულიად ახალი აღმოსავლური ლექსები შეოხება, რუსთაველის ბიოგრაფიაც
სხვადასხვა ეკრობულ ენაზე არსებული წყაროს მიხედვით შეადგინა“.

დამოწმებულ ტექსტში რამდენიმე არაზუსტიც ცნობაა (ტრიკოგლიდისს
ლექსები არ შეუთხხავს და არც რუსთველის ბიოგრაფია შეუდგენია), მაგრამ
ამაზე კვემოთ ვისაუბრებთ. იმჯერად მხოლოდ იმს აღნიშნებთ, რომ გ. მა-
მულაშვილის პუბლიკაციის დაადასტურა ეჭვი, რომელიც ოციანი წლებიდან
ჰქონდა ქართველ საზოგადოებრიობას, და ნათელყო, რომ ბერძნულ განეთზი
გამოქვეყნებული ლექსების ფრინარი რუსთველი არ იყო.

სხვათ შორის, გ. მამულაშვილმა ისიც გვამცნო, რომ სტუდენტთა კითხ-
ვაზე: „რატომ დაგჭირდათ მინცდამანც რუსთაველის ლექსების გამოვნე-
ბა?“ ტრიკოგლიდისმა განაცხადა: „ოღმოსაელეთის გეოსანთა შორის რუსთა-
ველზე დიდი სახელი არ მეგულება... სპეციალობით მწერალი და უურნალის-
ტიც ვარ, მაგრამ საშინელ გაჭირებას ვანკიცლი, ოჯახი ნახევრიდ მშეორი
მყავს; რასაც ვწერ, თითქმის არავინ მიხედვავს. და ის, გადავწუშვიტე გაჭირ-
ებისის რუსთაველისათვის მიმერართა. მივედი ათენის სალიტერატურო გა-
ვევთის რედაქტორთან და ცუთხმირი: ქართველთა უდიდესი გეოსანის უცნობი
ლექსები აღმოვაჩინე და შემძლია წარმოგიდგინოთ-მეოქვი (ქართული ლექ-
სები აღმოსავლური პოეზიის მოტივებზე დავწერ, რომელსაც ცუდად არ

ვიცნობ). რედაქტორი სიხარულით შეხვდა ჩემს წინაღადებას და თანაც დასძინა, თარგმანებს უცილებლად რუსთაველის მოკლე ბიოგრაფიული პირის დაურთეო. მრიგად „აღმოვაჩინე“ ქართველი პოეტის უცნობი ლექსები რედაქციაშ ამ ჩემს მასალებში ისეთი პონორარი გადამიხადა, რომლითაც ჩემს ოჯახს მთელი თვეების განმავლობაში ვინახვდი“.

მრიგად, მ. მამულაშვილის წერილებით აიღმოლოებას ფარდა აეხადა, ტრიკოგლიდისის ყალბისმქნელობა გამეტავნდა. მიტომაც,— მ. მამულაშვილის წერილების საფუძველზე,— ნაშრომში „რუსთველი უცხოეთში“ ვწერდით: „როგორც გაირკვა, ტრიკოგლიდის რუსთველის ლექსები კი არ უთარგმნია არაბულიდან, არამედ თვით შეუთხზავს ლექსები აღმოსავლურ ყაიდაზე, ლიტერატურული გაჭითის რედაქტორისათვის მიუტანია, რუსთველის სახელით შეეთავაზებია და ასეც დაუბეჭდავს. ხელმოკლე მწერალს თავისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა რუსთველის სახელით გამოქვეყნებული ლექსებით ნაწილობრივ განოუსწორებია. რც შეეხება რუსთველის პიოვრაულ ცნობებს, ისინი ავტორს, როგორც ჩანს, მ. ბროსეს შრომებიდან უნდა ჰქონდეს აღებული“ ([7], 39).

ანალიგიურად ვმსჯელობდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველის ქაბინეტის მიერ გამოქვეყნებული კრებულის — „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“ ფურცლებზე, კერძოდ, ბერძნულიდან თარგმნილი რუსთველის ბიოგრაფიის შენიშვნებში, სადაც დიმატებით ვწერდით: „ცნობა „თამარიანის“ რუსთველისადმი მიყუთვნების შესახებ (ისე როგორც სხვა ცნობები ქართველ პოეტა და მის თხზულებაზე) ტრიკოგლიდისს აღებული აქვს მ. ბროსეს შრომებიდან“ ([8], 417).

მკითხველი უთუოდ შენიშვნავდა, რომ მ. მამულაშვილის წერილებიდან წოვიერთი შეცდომა ჩემს ნაშრომებშიც გაღმოვიდა, მაგრამ მაშინ არ იყო ცნობილი ის ფაქტები, რომლებზეც ქვემოთ საგანგებოდ ვისაუბრებოთ. ამასთანავე, ჩევნოვის მთავარი ტრიკოგლიდისის ყალბისმქნელობის აღნიშვნა და მისი ცნობების წყაროდ მ. ბროსეს ნაშრომების გამოცხალება იყო.

80-იანი წლების დამდეგს რუსთველის ე. წ. არაბული ლექსებით დაინტერესდა მ. თოლუა, რომელმაც ალმანის „კრიტიკაში“ გამოიცვეყნა ვრცელი წერილი საგულისხმო სათაურით — „კვალი იმედიანი“ ([9], 85—106). მკლევარმა დასაწყისშივე განაცხადდა, რომ რადგან „რუსთველის შემოქმედებიდან გარდა „ცეფხისტყაოსნისა“ არაფერი შემოგვრჩენია, მისი ცხოვრების შესახებაც ცოტა რამ ვიცით, ასეთ ვითარებაში ყოველგვარი ახალგამოვლენილი მისალა პოეტის პიროვნებისა და შემოქმედებაზე, თუმცაც იგი საეჭვო იყოს, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია“ და მიტომაც განიხილა ბერძნულ ვაჭეთში გამოქვეყნებული ბიოგრაფიული ცნობები რუსთველზე, ეგრეთვე იქვე დამეჭდილი ლექსები (სხვათა შორის, მ. თოლუამ თოქმის მთლიანად გადმობეჭდა „ლომისა“ და „ბაზტრიონში“ 1922 წელს გამოქვეყნებული მასალა).

მართალია, მ. თოლუს მხედველობიდან გამორჩია მ. მამულაშვილის ზემოხსენებული წერილები და არაერთი უკვე გარკვეული საკითხის შესწავლა და გაშექება მოუხდა (ამან კი, რასკვირველია, სათანადო დალი დააჩნია მის გამოკვლევის), მაგრამ მისი კრიტიკული მიღვომა ბერძნული მისალებისადმი უთუოდ აღნიშვნის ღირსია.

რადგან „უჩვეულო და მოულოდნელ ლიტერატურულ ფაქტებთან“ პერნა და საქმე, მკვლევარმა დასკვითხავა: „ხომ არ არის ეს მასალები ნაყალბევი,

მოვონილი?“ და იქვე განაცრძო: „ხომ შეიძლებოდა, თვითონ ტრიკოვლიდას შეეთხზა ლექსები და იგი რუსთველისათვის მიუწერა. ასეთი შემთხვევამდებარებატურამ იცის“ ([9], 93).

მ. თოდუა დამოუკიდებლად მიუახლოდა მ. მამულაშვილის წერილში გმელავნებულ ყალბის მქნელობას, მაგრამ რამდენადმე მაინც გაუჭირდა ბერ-ქულ გაზეთში გამოქვეყნებული რუსთველის ბიოგრაფიული ცნობების დათ-ხობა. „ბერქული პუბლიკაციების ცნობები იმდენად უხვია და იმდენად მნიშ-ვნელოვანი, რომ სწორედ ამ ნიშნების გამო ჩვენ, რუსთველშე ინფორმაციის სიმწირეს მიჩვეულნი, ასეთ ბედნიერებას ვერ ვიჯერებთ. მაგრამ მაინც, სა-მამი ტრიკოვლიდისის არაბული წყაროს რაობა არ გარკვეულა, რაიმე დასკვნის გამოტანა ნაადრევია“ ([9], 96).

საინტერესოა მ. თოდუას შენიშვნები ბერქული გაზეთის პუბლიკაციებ-ზე. მაგალითად, მას აოცებს, რომ ტრიკოვლიდისმა არაბულ წყაროში ასე შე-უძლებარიდ ამოკითხა: რუსთველი, ტარიელი, „თამარისინი“. „არაბული დამ-წერლობის თავისებურებათა გამო არაბულის კრიგად მცოდნეც არ იყო დახლ-ვაული აქ წაეკითხა: რუსთველი, რუსთვოლი, რუსთველი, ტარიელი და ა. შ.“ ეს არ მოხდა. „მაშასადამე, იბადება ეჭვი: ხომ არ არის აქ გამოუკენებული ეროვნული წყაროები“ ([9], 95).

რუსთველის ბიოგრაფია, — მ. თოდუას სიტყვით, — XIX—XX საუკუნე-ების ნარკევს გვაგონებს. მასში აღნიშნულია, რომ რუსთველმა „ლრმად იცო-და ებრაული, ბერქული, ლათინური, სომხური ფილოლოგია“. „სხვა რომ არაფერი, — შენიშნავს გაცვირვებული მკელევარი, — რატომ არ გვაუწყებენ აქ, რომ რუსთველმა იცოდა არაბული ფილოლოგია (პუბლიკაციის სტილით რომ ცილაბარაკოთ), აყი მას არაბულიდაც უწერია ლექსები?“ ([9], 96).

„ბერქულ თარგმანებში ახალი პოეზიის სტილს გვაგონებს ანონამის ლექ-სის რეფრენი“, — წერს მ. თოდუა და ჩანს მხედველობაში აქვს ათენის გაზეთ-ში დაბეჭდილი ლექსი „ერთი ამბორისათვის“.

ეს დაკვირვება და შენიშვნა, — ისე როგორც ზემოდამოწმებული და ზო-გიერთი სხვაც, — სწორია და ანგარიშგასაწევი. ერთი შეხედვით, ასეთი ძიება მ. მამულაშვილის წერილების შემდეგ ღია კარის მტვრევაა და ახალი არა-ფერს გვმატებს, მაგრამ ეს ასე არა. მართალია, მ. მამულაშვილის წერილების გაუთვალისწინებლობა მ. თოდუას გამოკვლევის ნაკლა, მაგრამ იგი (გამოკ-ვლევა) თავისთავად მაინც საყურადღებოა, რაღაც ახალი დაგვირვებებით უფრო სარწმუნოს ხდის ტრიკოვლიდისის ყალბისმქნელობას, თუმცა იგტორი საკითხში სულ გარკვეული მაინც ეტრაა. იგი ერთ აღვილას — ტრიკოვლიდი-სის ხსენებისას დამაფიქტრებლად წერს: „თუ ასეთი პირი და მისი ოარგმანები მართლა არსებობს“ ([9], 99), ხსენები კი ტრიკოვლიდისის არაბულ წყაროს კიბრულ ხელნაწერად მიაჩნევს ([9], 95, 98, 105) და წერილს ასე ამთავრებს: ამ საკითხებს „შექმნ მოჰკენს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ღონისძიება — კა-იროს ხელნაწერთა ფონდების აღვილშე გაცნობა, რაც ქართველი აღმოსავ-ლეთმცოდნების გადაუდებელი ამოცანაა“ ([9], 106).

უკიდისუკნელად რუსთველის ე. წ. არაბულ ლექსებს შეეხო გ. შარიძე [10], რომელმაც თავდაპირველად გამოაქვეყნა პარიზული მისალა, ხოლო შემდეგ სცადა იმის გარკვევა, თუ რა სიახლეებს შეიცავს იგი რუსთველის ე. წ. არაბული ლექსების შესახებ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი მეცნი-ერებისათვის აქმდე ცნობილ წყაროებთან შედარებით. ვიდრე გ. შარაძის მსჯელობაზე შევჩერდებით, პარიზული პუბლიკაცია გავიცნოთ.

1938 წელს პარიზის ქართულ კურნალ „ქართლოს“ დაუბეჭდის სტენგარგართ მცხოვრები ქართველი მოღვაწეების ნიკოლოზ (კოკი) ელიაზონიშვილი (1879—1939) და პროფესიი მოღვაწე (1898—1931) წერილები, აგრძელებული ჟურნალის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი რუსთველის ბიოგრაფია და მისი და უცნობი ქართველი პოეტის ლექსების პროზაული თარგმანი.

„ქართლოსიდან“ ევგენიულობთ, რომ ნ. დადიანმა სტანდბულიდან მიმართა ოთხში მყოფ პ. აბულაძეს და სთხოვა ცნობების მიწოდება რუსთველის შესახებ ახლად მოპოვებულ წყაროებზე. პ. აბულაძემ გაუგზავნა ვრცელი წერილი და აცნობა ტრიკოგლიდისის მიერ თარგმანის გამოქვეყნება. დავიმოწმოთ ამ წერილის ნაწყვეტი.

პ. აბულაძე წერს: „დავუწყეთ ამ მწერალს ძებნა. გავიგეთ, რომ ის გათვალისწილი ჰქონდა აღმოსავლურ ენათა ფაცულტეტი; გავიგეთ აგრეთვე მისამართიც და გავეშურეთ მის სანახებად. შევეკითხე, თუ საიდან თარგმნა მან რუსთაველის ლექსები და ბიოგრაფიული ცონბები და ან თუ ხელთა აქვს რიმე დოკუმენტი. მან შემდეგი იქნა:

„ჩემს ეგვიპტეში ყოფნის დროს, ე. ალექსანდრიაში, ჩემმა მასწავლებელმა პროფესორმა მაჩქა ერთი არაბული წიგნი. ამ წიგნს წინა და უკანა ფურცლები დაფარგული იქნა და ამიტომ ძნელი სათქმელია, თუ რომელ წელს არის დაწერილი; წიგნში მოთავსებულია აზიური გამოჩენილი მგლსნების ლექსები და ნაწარმოებები. სხვათა შორის, იქ წავაწყდი ამ ქართულ ლექსებს, რომელთაგან თრი რუსთაველის სახელით არის მოთავსებული; მეორე ორი ქართულია, მხოლოდ იგორის სახელი არა ჩანს და, ჩემი აზრით, ხალხური უნდა იყოს. ეს ლექსები არაბულად რითმით არის დაწერილი და ძვირფას რამეს წარმოადგენენ. მათ ჩემი ყურადღება მიიპყრეს და ამ თრი წლის წინათ გადმოვთარგმნე ბერძნულ ენაზე (პროზად აქვს ნითარგმნი). ეს ბიოგრაფიული ცნობაც ამ ლექსებთან არის დაბეჭდილი და ისიც გადმოვთარგმნე“.

პ. აბულაძემ გიორგალისწინა, თუ „რა დიდი ჩნიშვნელობა აქვს“ რუსთველის „პატარა ბიოგრაფიულ ცნობას“ და „სამჯერ-ოთხხერ“ ჰკითხა ტრიკოგლიდისს: „არის თუ არა ის დაბეჭდილი არაბულ წიგნშიც“. ბერძნენა მწერალმა უცასუხა: „ეს ცნობაც დაბეჭდილია ლექსებთან ერთად, თორებ დღემდე სრულებით არაფერი ვიცოდი რუსთაველის შესახებონ“.

პ. აბულაძემ არაბული წიგნის გამოცემის ზუსტი დათარიღება მოიწადენა, მაგრამ ვერ შეძლო — ტრიკოგლიდისმა ყრუდ უპასუხა: „შესაძლებელია დაბეჭდილი იყოს ამ 40—50 წლის უკანონ“. ქართველმა მთარგმნელმა ამ არაბული წიგნის ნახვაც ვერ მოახერხა — ტრიკოგლიდისი მას „ასე ადვილიდ და უსასყიდლოდ არ ელევაონ“.

პირველად პ. აბულაძემ დაბეჭდა ტრიკოგლიდისის ცნობა ბერძნული გაზეთის ფურცლებზე ქართული ლექსების ავტორების შეცდომით დასახელების შესახებ. „როდესაც მეორედ ვიყავი, — წერს იგი, — ბ-ნ ტრიკოგლიდისა მითხრა, რომ მას თარგმნის დროს შეცდომა დაუშვაა: ის თრი ლექსი, რომელიც რუსთაველის სახელით არის ბერძნულ თარგმანი, არის ქართული ხალხური, ხალო მეორე — უცნობი პოეტის სახელით — ეკუთვნიან რუსთველსონ“.

მკითხველი შენიშნავდა, რომ თიოქმის ყველაფერი, რაც კი ნათქვამია პ. აბულაძის წერილში, ვიდრე იგი „ქართლოსიდან“ „თბილისში“ გადმოიბეჭდილდა, ჩვენმა საზოგადოებრიობამ უკვე იცოდა ქართულ პრესში („ლომისი“, „ბახტრიონი“, „ქუთაისი“, „დროშა“) გამოქვეყნებული წერილებიდან. მარ-

თალია, როგორც გ. შარიძე აღნიშვნას, პ. აბულაძე ბერძნების / „პირველადმიმჩნი და ქართულ ენაზე მათი პირველი მთარგმნელი უკრაინის მელსაც „პირადად უნახავს“ ტრიყოგლიდისი, „უშუალოდ მოუსმენია და ჩაუქრება“ ბერძნის ხამბობი „არაბული წიგნის შესახებ“, მაგრავ დღეს ამას დღი მნიშვნელობა არა აქვს.

დღიდ თავისუფერლობა არია ცეკვა. გერთი „ქართლოსის“ ანალიზიური ცნობები ჯერ კიდევ 1922 წელს გაიძერდა „ლომისია“ და „პატრიოტში“. მასთანავე, თბილისსა და პარიზში დაბეჭდილ წერილებს შორის ისეთი სიტუაციი თანხვდევნილობაა, რომ, როგორც ჩანს, ყველაფერი ერთი პიროვნებისაგან — პ. აბულიძისაგან მოდის (აღარას ვამბობთ პ. აბულიძის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ ლექსებზე, რომლებიც დარივი დაიბირდა საქართველოში).

მეორე — ორიოდე ცნობა (არაბული წიგნი დამტკიცილია, იგი ალექსანდრიაში ნიხა ტრიკოგლიდისმან), რომელიც „ლომისსა“ და „ბახტრიონში“ ორ ცყო, როგორც აღვნის შენეთ, აღრევე მოგვაწოდა მ. მამულაშვილმა (მაა კი ორთვე იშვიათად სიტყვასიტყვით გაიძეორა პ. აბულაძის ცნობები).

အေ စောက်တင်ပြုချေသူများ၊ ရွှေမြစ်မြေတွင် ပေါ်လေ့ရှိသူများ၊ နေရာများ၊ အေ ရေများ၊ „ဒိုက်တွေ့ဆုံးများ“ ဂာမျှေးအောင်ဖြစ်လေ့ရှိခဲ့လေ၊ ရာမျိုးလွှာ၊ „တိုင်စံ-
ပို့“ ဆောင်ရွက်ပါတယ်၊ ဂုဏ်သွေးကြောင်းများ၊ ပွဲစွဲဆောင်ရွက်ပါတယ်၊ ဒေဝါဒများ၊

ჩვენ გავიგრძელოთ ეს მუშაობა და დავტემუნდით, რომ კითხვა — ნისტი-ფიქაცია თუ სინამდვილე? ალარ დგას.

ଓଡ଼ିଆ ମୁଦ୍ରାକ୍ଷରିତ ପରିଚୟ ପାଇଲା.

шър към 1970 г. във Варна. Романът е първият от този цикъл, който съдържа и първите две глави на романът „Любовни песен“. Той е първият от романи, които са написани във възможността на автора да се изрази чрез превод на френски поет Н. Дженер. Във въвеждащата си глава към романът „Любовни песен“ (1943) Н. Дженер пише: „Моята любов към руския поет Пушкин е неизразима. Той е един от най-големите поети на всички времена. И неговите стихотворения са истински магнити, привличащи всички хора, които са способни да се интересуват от поезия.“

ვერ გავიგეთ, რატომ აღმოჩნდა ასეთი დასახელება ბულგარული რუსთ-
ველლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიაში. ვითხოვეთ მითითებული
ავტორების ფორმის. ბულგარელმა კოლეგებმა იგი მაღა გამოგვიგზავნეს;
წავიკითხეთ, მაგრამ ვერაფრით ვერ დავუკავშირეთ რუსთველს და ვერ გავი-
კეთ, რატომ იხსენიებოდა ეს მასალა რუსთველოლოგიურ ბიბლიოგრაფიაში.

1984 წლის ზაფხულში, როდესაც ერთხელ კადვა წავიგითხეო ბერძნულ გა-
ხეთში ტუსთველის სახელით გამოქვეყნებული „სიმღერის“ ქართული პრო-
ზაფხული თარგმანი, რომელიც ინჟერიად „ქართლოსიდან“ გაღმისტებდა „თბი-
ლისმა“, მოგვავონდა ბულგარული მასალა. სახელდახელო შედარებამაც ცხად-
ყო. რომ ხელთ გვმონდა „სიმღერის“ ბულგარული თარგმანი — „Песен“.

ბუნებრივია, ამან გაზირდა წვენი ინტერესი ბულგარული რესთყველოლო-
გიური ლიტერატურის. პიბლიოგრაფიაში დასახელებული წიგნისადმი და იგი
სასწრავოდ გამოვიწერეთ. ბულგარეთიდან მივიღეთ ციირქმატებს წიგნს,

римлес састициулът и урбанизъмът е свързан с Миражи на Сърдисто (Азиатска лирика). Преведе от френски Никола Джеров. Второе издание.* София — 1943 година. Усъдва сащо че избраният текст е използван за училищни цели.

София — 1943 година. Усъдва сащо че избраният текст е използван за училищни цели.

Усъдва сащо че избраният текст е използван за училищни цели.

Усъдва сащо че избраният текст е използван за училищни цели.

Усъдва сащо че избраният текст е използван за училищни цели.

Усъдва сащо че избраният текст е използван за училищни цели.

Усъдва сащо че избраният текст е използван за училищни цели.

* Усъдва сащо че избраният текст е използван за училищни цели.

შეგრძნება, ა. თალასოსა და მ. ბროსეს შორის სიტყვეერი თანხვდენილობა ისე
შესამჩნევია, რომ საკითხი კამთას აღარ იწვევს. იმასთანავე, მ. ბროსესა და
ა. თალასოს შრომებიდან შესაძლებელია დაცომოშმოთ ადგილები, რომელთა
შესატყევის ე. ბოლხოვიტინვის წიგნში საერთოდ ირა. მაგალითად, ა. თა-
ლასოსთვის ცნობილი იყო, რომ ბევრ ქართულ სიტყვაში თანხმოვანთა სიმ-
რავე შეინიშნება, რის გამოც ზოგიერთის წარმოთქმა რამდენადმე ჭირს.
სანმუშოდ იგი ისახელებდა სიტყვას — „Sdzrtsis“ („ძრწის“). მოვიგონოთ მ.
ბროსეს მსჯელობა: „ქართულ ანბანს ხმოვნება არ აკლია, მაგრამ ისინი მე-
ტისმეტი სიძუნწითად ნახმარი. მაგალითად, როგორ უნდა იტანოს ადამი-
ანმა ასეთი ფრაზა: „ფართმან რა ნახა, შეშინდა, ძრწის და მიცეცა ძრწოლისა“.
ამა, წარმოთქვით ფრანგულ ყაიდაზე „ძრწის“ („Sdzrtsis“) ერთ მარცვლად“
([12], 261; [13], 43).

კიდევ ერთი მაგალითი: ა. თალასოს ცნობით, ქართულ პოეზიაში, —
უმოსავლური პოეზიის მსგავსიდ, — გავრცელებულია გამოთქმები: „Visage
de soleil“, „Face de lune“, „Beau ou belle comme la (pleine,) lune“
ვა ა. შ. ა. თალასო ამ შემთხვევაშიც სიტყვასიტყვით იმეორებდა მ. ბროსეს
ცნობებს ([15], 392).

ამ წინასიტყვობას რუსთველის ე. წ. არაბული ლექსების კვლევა-ძაება-
ში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს და თუ მაინც შევხერდით მასზე, მხო-
ლოდ იმიტომ, რომ ამთავითვე ვვერცხნებინა, რაოდენ დავალებულია ძრებუ-
ლის შემდგენელი მ. ბროსეს შრომებით.

ახლა ვავიცნოთ რუსთველის ბიოგრაფია, ვნებოთ, რა ხასიათის ცნობებს
შეიცეს და რის საცურაველზეა დაწერილი. ამის გარევება სულილებელია,
რადგან ქვემოთ მალე დავრწმუნდებით, რომ ამ ბიოგრაფიათ სარგებლობდა
ტრიუგლიდისი.

თავდაპირველად დავიმოწმოთ ა. თალასოს ტექსტი და მას შევუპირის-
პიროთ ბერძნული გაზეთის რედაქტორისათვის ტრიქოგლიდისის მიერ მიწო-
დებული მისალა.

I

„რუსთველი, თამარ მეფის არმიის გენერალი და საქართველოს უდიდე-
სი პოეტი. ცხოვრობდა XII საუკუნის მეორე ნახევარში და უკმდავშო თავი-
სა სახელი ორი ეპიკური ნაწარმოებით: „ტრფობანი ტარიელისა“ და „თამა-
რიანი“. ორივე შთავონებულია „ღვთაებრივი მეფის“ ტრფობითა და მხედ-
რული გმირობით.

გერძნული, ბერძნული, ლათინური და სომხური ლიტერატურის დადალ
მცოდნე რუსთველი ვარ საცდა მიბაძებას. — ზოგჯერ ძალიან ბეჭდიერს, —
დაიდა მოდელებისა. მის ნაწარმოებში ზოგიერთ ადგილის ვნედებათ პომე-
როსის, პორაციუსის, დაერთის ფსალმუნისა და ქებათა ქების რემინისცენიებს.
არის ბიბლიური გამოთქმები და ზოგჯერ ისეთი ტაებები, როგორც შემდეგია:
„შენ ისე მენატრები (მსურხარ), როგორც ირემს წყარო“, ან კიდევ: „ჩემი
მეგობარი არის ვარდის თაიგული, მან სურნელება მოაფრქვია (უფრო ზუსტად:
მოსურნელა) და დაქრა ჩემი გული ერთსა და იმავე დროს“.

„ტრფობანი ტარიელისა“ საქართველოში ისე დიდად პოპულარულია,
როგორც „ათას ერთი ღამე“ მთელს აღმოსავლეთში.

II

„რუსთველი, მთავარსარდალი თამარ მეფის ჯარებისა, ითვლება საქართველოს უდიდეს ძგისნად. ცხოვრობდა მე-12 საუკუნის დამლევს და უკვდავყო თავისი სახელი ორი უშვევნიერესი ნაწარმოებით: „ტრფობანი ტარიელისა” და „თამარიანი”, ხეშავგონებული თამარის ტრფობითა და შესიომებში გამარჯვებით, რომელსაც უწოდებს „ღვთაებრივ მეფეს“.

იყო ქლიერ განათლებული: ისწავლი და ლრმად იცოდა ებრაული, ბერძნული, ლათინური და სომხური ფილოლოგია. მართლაც, ამან იმდენად იქნია მასზე გავლენა, რომ ბევრ ადგილს მის ნაწარმოებში ვხვდებით ფრაზებს, რომლებიც გულისხმობენ პომეროსს, პორაციუსს, დავითის ფსალმებს, ქებათა ქებას და სხვ. აქეს ბიბლიური გამოთქმები და ხშირად ვხვდებით სტისს, როგორც შემდეგი: „მენატრება შენი სახე, ვითარცა მოწყურებულირებს წყირო”, ან კიდევ: „ჩემი მეგობარი არის კონა ვარდისა, რომელიც სურნელებს და აწყულულებს ჩემს გულს ყოველ წუთს“.

რუსთველი გარდაიცვალა ტფილისში მე-13 საუკუნის დასაწყისს” ([1]; [5]; [6], 17; [8], 166; [9], 87; [10]).

ეფიქრობთ, მკითხველი უყოყმანოდ დაგვეთანხმება, რომ დამოწმებულ ტექსტებს შორის ალექსანდ შესამჩნევი იღენტტურობაა. თუ საგანგებოდ დავაკვირდებით და უმნიშვნელო სხვაობას შევნიშნავთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ პ. აბულაძე თარგმნილ არ ურანგულიდან, არმცდ ფრანგულიდან თარგმნილი ბერძნული ტექსტიდან, რომელზეც ჩვენ ხელი არ მიგიწვდება, და რომელიც, შესაძლებელია, ლანავ განსხვავებული იყო (რასაკირველია, გასათვალისწინებელია იგრეოვე ტრიკოგლიდისისა და პ. აბულაძის მთარემნელობითი ოსტატობის დონეც).

ამიერიდან მსჯელობა ბერძნულ პრესაში გამოქვეყნებული რუსთველის ბიოგრაფიული ცნობების არაბულ წყაროებზე უნდა შეწყდეს. არასწორი აღმოჩნდა ვარაუდი, ტრიკოგლიდისმა „რუსთველის ბიოგრაფია სხვადასხვა ეკროპულ ენაზე ისახებული წყაროს მიხედვით შეადგინა“ (მ. მამულაშვილი). ჩვენი განცხადებაც — რუსთველის ბიოგრაფიული ცნობები ტრიკოგლიდის აღმოჩნდა აქვს მ. პროსეს შრომებიდან — სიზუსტეს მოკლებულია; ტრიკოგლიდის რუსთველის ა. თალასოსეული ბიოგრაფია უთარგმნია, ჩას მ. პროსეს შრომები არ გამოუყენებია (ეგებ არც უნიხავს). რაც შეეხება ტრიკოგლიდისის პირველწყაროს — ა. თალასოსეულ ბიოგრაფიას, იგი ისევეა დავალებული მ. პროსეს შრომებით, როგორც ზემოხსენებული წინასიტყვაობა.

ორიოდე გამონაკლისს გარდა ა. თალასო სიტყვასიტყვით იმეორებდა მ. პროსეს ცნობებს. ამდენიმე მაგალითი:

მ. პროსეს ვავლენით ([15], 373—374, 376; [13], 45, 50) ა. თალასო

*ნარკვევი დამოწმებული ფრანგული ტაქტები თარგმა პ. ცასკარიძე, რისთვისაც დიდ მაღლობას მოვახსენებთ.

რუსთველს აცხადებდა თამარ მეფის გენერალი (général), მხედარობითაც — რად და მას ნიაშვრიდა „თამარიანსაც“.*

„ვეფხისტყაოსნის“ წერილზე მსჯელობის დროსაც ა. თალას უძლებელი უნიტერბლად ესესხებოდა წინამორბედს (მოვიგონოთ მ. ბროსეს სიტყვები: პიერის „ზოგიერთ დღის პორაციუსის, პომეროსის, ფსალმენთა, წმინდა საგალობელთა და საღმრთო წერილის სხვა ნაწილების იმიტაცია თუ გავლენა ტყვია“ ([15], 388; [13], 50). ზოგადი ვანცხადების საილუსტრაციო ნისალაც („ვეფხისტყაოსნის“ ორი ტაქტის ფრანგული პრინციული თარგმნი) ა. იანისონ მ. ბროსეს გამოკვლევიდან ([15], 388) გადაიწერა (სხვათა შორის, მ. ბროსეს თარგმანის, ა. თალასოს მიერ დაუმოწმებლად ცატირებული ტექსტისა და ტრიკოგლიდისის მიერ ბერძნულად თარგმნილი ტაქტების შესატყისების დაქტნა არცთუ ისე ძნელია. აგრ რამდენიმე მკვლევარმა აღნიშნა კიდე, რომ ამ ტაქტებში უნდა იგულისხმებოდეს რუსთველის შემდეგი სიტყვები: „ოქვენთვის (წერილის) ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემა“ და „მოყვარემან ვარდის კონა კულა მკრა და დამიწყლული“. ისე რომ, მ. თოდეუას ცნობისმოყვარეობა („რა წყაროს ეყრდნობა, საიდან, რა მასალის საშუალებით მოაქვს ციტატები ბერძენ მთარგმნელს? პასუხი არ ჩინს“ ([9], 96), კიდევრობთ, ახლა საკუთხოთ დაგმიყოფილებულია.

ა. თალასოს განცხადება — „ტრფობანი ტარიელისა“ ისე დიდად პოპულარულია საქართველოში, როგორც „ათას ერთი ლამე“ მოელს აღმოსავალეთშით, ისევ მ. ბროსეს სიტუაციის გადამდებრებაა ([15], 384; [13], 48).

რუსთველი XIII საუკუნის დამდევს გარდიცვალით, ესეც მ. ბროსედიანა ([16], 292; [13], 65), მხოლოდ გარდაცვალების დაგილიად მ. ბროსეს იურუსალმის ნაცვლად ტფილისი აქვს დასხელებული. საიდან აიღო ეს ცონბი ა. თალასომ, ვაუგებარია. ყოველ შემთხვევაში, არც მ. ბროსესა და რც საეთა შრომებში (ა. ბორენის, კ. მურიეს და ა. შ.) ასეთი რამ არ წერია.

ორიოდე სიტყვა რუსთველის პოემის სახელწოდებაზეც.

ტრფოგლიდისს დასახელებული პქნით „ტრფობანი ტარიელისა“. მ. თოდეუას აზრით, ეს არაბული წყაროდან მომდინარეობს. „ევროპული მასალების მეშვეობით ტრიკოგლიდისი „ვეფხისტყაოსნის“ ასეთ სახელწოდებას ეყრ წარმოადგენდა, — რამდენიმაც ჩვენთვის ცნობილია, ეკროპულ ენებზე „ვეფხისტყაოსნი“ ისე არავის მოუნათლავს“ ([9], 95 — 96).

უკვე ვნახეთ, რომ არაბული წყაროს საკითხი სავსებით მოხსნა, რაც შექება რუსთველის პოემის სახელწოდებაა, ა. თალასო „ვეფხისტყაოსნის“ ორნარიად ასახელებდა: „Amours de Tariel“ („ტრფობანი ტარიელისა“) და „Tariel“ („ტარიელი“) ([11], 204 — 205) და ორივე შემთხვევაში მ. ბროსეს ესესხებოდა.

როგორც ცნობილია, მ. ბროსე რუსთველის პოემას სხვადასხვაგვრად სახელებდა: „L' Homme vêtu d'une Peau de Tigre“, „L' Homme à la Peau de Tigre“ („კაცი, რომელსაც ვეფხვის ტყავი ავევა“) ([17], 452; [18], 277; [12], 276; [15], 374, 381; [16], 286, 289; [13], 37, 45), „Tareil“ („ტარიელი“) ([17], 451 — 453; [18], 277, 286; [12], 257, 259, 261, 274, 276, 282; [15], 373 — 374, 376 — 377; [19], 321; [16], 289; [13], 38), „Amours de Tariel et de Nestan-Daréjan“ („ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის

* გართვალია, მ. ბროსე ზოგჯერ „თამარიანის“ წერდა ([12], 276; [15], 373, 376), მაგრამ მისთვიც არც „თამარიანი“ ცეკ უჩემდელ ფორმა ([12], 259).

მიჯნურობა“) ([17], 452; [15], 374; [13], 37, 45). ა. თალასოსეული „ტრუბანი ტარიელისა“, ისე როგორც „ტარიელი“, ცხადია, მ. ბროსედანაა. ექვედანენთ, რომ ა. თალასოს რუსთველიც ([11], 201, 202, 204, 205, 206, 207, 208), მართალია, მ. ბროსე ზოგჯერ რუსთველსაც წერდა ([17], 453), მაგრავ მისთვის ძირითადი რუსთველი იყო ([15], 373—376; [16], 292; [13], 46).

ზემოთქმულს თუ თავს მოუყრით, შეიძლება დავისკვნათ, რომ ბერძნულ განეთში გამოქვეყნებული ბიოგრაფია რუსთველისა მომდინარეობს არა არაბული წყაროდან, არამედ ფრანგული ტექსტიდან, რომელიც ეკუთვნის აღმოსავლური სამიჯნურო პოეზიის ანთოლოგიის შემდგენელს ა. თალასოს. ის კი ახალს არაფერს გვაუწყებს — დავალებულია მ. ბროსეს შრომებით, სიტყვასიტყვით იმეორებს მის ცნობებს. ასე რომ, რუსთველის ბიოგრაფიის ამ პუბლიკაციას (როგორც ფრანგულს, ისე მისგან თარგმნილ ბერძნულს) არავითარი თავისთავადი მნიშვნელობა არა აქვს.

ახლა დროა დაციწყოთ რუსთველის ე. წ. ორაბული ლექსების განხილვა.

გვაგონდება გამოჩენილი პაგიოგრაფის სიტყვები: „ექმომდე გზად სიტყვას ჩუენისად წრფელ იყო და ადვილ სავალად, ხოლო აწ იწრო და საჭირო“ (გიორგი მცირე).

ნადვილად ისეა წინ რთული გზა გვაქვს და აი რატომ: ქართველი ხაზოგადოებრიობა ინტერესით ეცნობა ყველაფერს, რაც რუსთველის სახელთანაა დაკავშირებულია; ვინსაკუთრებული ყერადღებითა და შინაგანი მღელგარებით ეკიდება ყოველგვარ მინიშნებას რუსთველის უცნობ თხზულებებზე და, — რაც არ უნდა საეჭვო იყოს ივი, — მაინც იმედით უცქერის მომავილს. აკი ამიტომაც დაირჩევა თავის წერილს მ. თოდღუამ „გვალი იმედიანი“. ჩვენ კი, სამწუხაოროდ, სამიედოს ვერაფერს ვიტყვით, რუსთველის კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას ვერაფერს შევმატებთ.

როგორც აღვნიშვნეთ, ბერძნულ განეთში დაბეჭდდა ოთხი ლექსის პროზაული თარგმანი. ეს ლექსებია: „სიმღერა“, „ურნი სამოთხისანი“, „ერთი ამბორისათვის“, „ჩემი ტრდობა“.

ამთავითუე უნდა განვაცხადოთ, რომ ოთხივე ლექსი დაბეჭდილია ა. თალასოს ანთოლოგიაში. ტრიკოგლიდისმა ისინი ორაბული წყაროდან კი არ თარგმნა, როგორც თვით აცხადებდა და ზოგიერთს სჯეროდა, არამედ ფრანგულიდან. ამასთანავე, ორი ლექსი — „ერთი ამბორისათვის“ და „ჩემი ტრდობა“ — ე. ი. ის ლექსები, რომლებიც ბერძნულ განეთში უცნობი ქართველი პოეტის სახელით დაიბეჭდა (ასევე დაიბეჭდა „ბახტრიონსა“ და, ბუნებრივაა, „კრიტიკაშიც“), ხოლო შემდეგ — ტრიკოგლიდისის მითითების საფუძველზე, — რუსთველისეულად გამოცხადდა და რუსთველის სახელით დაიბეჭდა ქართულ პრესაში („ქართლოსი“, „ქუთაისი“, „თბილისი“), საერთოდ არ აღმოჩნდა ქართული. ოთხივე ლექსი ეკუთვნის სხვა პოეტებს — პირველი („ერთი ამბორისათვის“) ეკუთვნის შევე ბეის (Chevki Bey), მეორე („ჩემი ტრდობა“) — მაჰმუდ ჯელალედინ ფაშას (Mahmoud Djellaledine Pacha) ([11], 120—123).

ასე რომ, შესაბამებლი და განსახილველი დაგვრჩეო თრი ლექსი — „სიმღერა“ და „ურნი სამოთხისა“. დავიწყოთ მეორეთი.

„ურნი სამოთხისა“ (ან „ურნი სამოთხისანი“, როგორც მისი მთარგმნელი პ. აბულაძე წერდა) ტრიკოგლიდისმა თავდაპირველად მიაკუთვნა რუსთ-

ელს (რუსთველის სახელით დაიბეჭდა „ლომისში“, „ბახტრიონში“, „კრიტიკში“), შემდეგ კი ხალხურად გამოაცხად — უცნობ ქართველ პოეტის მოწყვეტილი რა (ისე დაიბეჭდა „ქართლოსსა“ და „თბილისში“). ეს ლექსი ა. ბახტრიონის ანთოლოგიაში დაბეჭდილია საქართველოსათვის, ქართული პოეზიისათვის გამოყოფილ ნაკვეთში, მაგრამ არა რუსთველის ლექსებში, არამედ რუსთველის სახელით გამოქვეყნებული ლექსების შემდეგ. მისთანავე, იგი დაბეჭდილია როგორც ხალხური ლექსი, ხალხური სიმღერა ([11], 206 — 209) და რუსთველთან არაერთარი კაშირი არა აქვს.

მრიგად, ბერძნულ განეთში დაბეჭდილი ოთხი ლექსიდან დაგრძნია ერთი — „სიმღერა“, რომელიც იმ გაზეთში რუსთველის სახელით დაიბეჭდა (სავე „ლომისში“, „ბახტრიონში“, „კრიტიკაში“), ხოლო შემდეგ ტრიკვლიდისმა „შეცდომა გასწორა“ და იგი უცნობ ქართველ პოეტს მიაკუთვნია (ისე დაიბეჭდა „ქართლოსსა“ და „თბილისში“). უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს ლექსი ჩენ ბულგარულ კრებულში ვნახეთ.

კაცმა რომ თქვას, ტრიკვლიდისს გასასწორებელი არაფერი ჰქონდა: ა. თალასოს ანთოლოგიაში „სიმღერა“ რუსთველის სახელითაა დაბეჭდილი. ტრიკვლიდისმა რომ ნამდევილად ეს ლექსი თარგმნა, მიას ტექსტების ებრაულ შედარებაც ნათელყოფს. თავდაპირველად დავიმოწმოთ ფრანგულ ანთოლოგიაში დაბეჭდილი ტექსტი:

Pourquoi répéter que tu veux me fuir, toi qui es
belle comme le soleil levant!
Le soleil ne fuit pas: il éclaire le monde.
Pour vivre toujours enveloppé de tes rayons, je
me roulerai dans les épines,
Et je damnerai mon âme, le jour où mes yeux
seront privés de ta lumière“ ([11], 205).

„რად იმგრძებ, რომ გსურს განექცე, შენ, ვინც მშევნიერი ხარ, როგორც იმომავალი მზე! მზე არ ვარბის — იგი ანათებს სამყაროს. რომ ვეცოცხლო, მუდავ შენს საცვებში განეცემა, მე გავგორდები ეკლეგზი და დაწყეველი ჩემს სულს იმ დღეს, როდესაც ჩემს თვალებს მოაღებათ შენი სინათლე“.

შევეცაროთ ამ ტექსტს ტრიკვლიდისის ბერძნული თარგმანიდან 3. ბულაძის მიერ თარგმნილი „სიმღერა“:

„რად იმბობ და ინგორებ, რომ გსურს გამზორდე? სად ხარ, შენ მშევნეოერო, ვინ მზე, რომელიც ამოდის! მზე რომ არასოდეს არ ესვენება და ანათებს მსოფლიოს? რომ მეცხოვა მთლად შესუდღულს შენს სხივებში, თუნდაც სიხარულით შევინეოდი ეკლოთა შორის და დაწყეველიდა ჩემს სულს იმ დღეს, როს თვალები ჩემი დაკარგებინენ თავის წალ შენს შექს“.

ვფიქრობთ, სურათი სავსებით ნათელია: ტრიკვლიდისმა „სიმღერა“ (ისე როგორც დანარჩენი სამი ლექსი) ფრანგულიდან — ა. თალასოს ანთოლოგიან თარგმნა; მისი რუსთველის უცნობ ლექსად მიჩნევა და არაბული წყაროს ძებნა, ყოვლად უსაფუძვლო და გაუმართლებელია.

საინტერესოა, გაირკვეს, თუ რას ემყარებოდა ა. თალასო, საიდან თარგმნა

მან „სიმღერა“. ეგებ მას პქონდა ხელთ უცნობი არაბული წყარო მოვაჭრად
რუსთველის უცნობი ლექსი შემოგვინახა?

ვიდრე მას ვავარკეთ, გავაცნოთ ა. თალისოს კრებულში რუსთველი
სახელით დაბეჭდილი მეორე ლექსი („ლაზელი“), რომელიც ტრიკოგლიდის
რატომდაც არ თარგმნა. იმ ეს ლექსიც:

„Source de joies infinies et de souffrances infinies,
Pour tous ceux qui osent lever leurs yeux jusqu'à
tes yeux;
Rose unique dont la splendeur égale la splendeur
de toutes les roses ensemble,
Comment les rossignols pourraient-ils te voir
sans chanter, inlassablement, ta beauté“.

(Extrait du Tarie) ([1], 205).

„უსასრულო სიხარულისა და უსასრულო ტანგის წყარო
ყველასთვის, კინც ბედის გავისწოროს ფელი;
ერთადგრძო გარდო, რომლის ბრწყინვალება ეტოლება
ერთად აღებული ყველა ვარდის ბრწყინვალებას;
როგორ შეძლებო ბულბულები დაგვიხინონ და
დოუდლელად არ უმღერონ შენს სილმძიება!“

(ნაწყვეტი „ტარიელიდან“)

„ემოციების კითხვა შეიძლება ახლაც გავიძეორთო: რას ემყარებოდა ა.
თალისო, სიღდან თარგმნა მან დამოწმებული ტექსტი? მისი ცნობით, ესაა ნაწყვეტი „ტარიელიდან“, მაგრამ ზუსტად ისეთი ტექსტი „გეფხისტყაოსანში“
არ ვაკეცდება. ვივარიულეთ, რომ ა. თალისოს წყარო მაჯერადაც მ. ბროსეს
რომელიმე შრომა იქნებოდა და დავიწყეთ ძებნა. მართლაც, მ. ბროსეს შრომაში—
„გამოკვლევანი ქართული პოეზიის შესახებ; ცნობა ორ ხალნაწერზე; ნაწყვეტი რომან „ტარიელიდან“ — ერთ აღვილას იყითხება: „Source d'amour et de
tourmens pour ceux qui te voient, rose dont la beauté efface les fleurs de nos parterres, comment les rossignols te verraien-t-ils sans extase?“ Ce sont les termes d'une déclaration d'amour faite... par une femme... Awthandil“ ([15], 393).

„სიყვარულისა და ტანგის წყარო მათთვის, ვინც ვიცხერის, ვარდო, რომლის სილმძიება შლას ჩვენი ყვავილნარის ყვავილებს, როგორ გაღიძებებს შენ ბულბულები ექსტაზის გარეშე?“ — ესაა ქალის მიერ სიყვარულის გამოცხადება (გამოცხადების სიტყვები) ავთანდილისადმით“.

ა. თალისოსა და მ. ბროსეს ტექსტებს შორის, მართალია, არ ჩანს ზედმეტებითი თანხედენალობა, მაგრამ შეინიშნება ცალკეულ სიტყვათა გამეორებები და რამდენადმე ასრობრივი მსვავებაც. ჩანს, ა. თალისომ იიღო მ. ბროსეს ტექსტი და მის საფუძველზე (ზოგიერთი მისი სიტყვის გამეორებითაც კი) შეთხა ლექსი, რომელიც გამოქვეყნა რუსთველის სახელით. რაც შეეხება მ. ბროსეს ტექსტს, იგი „გეფხისტყაოსანიდანა“, მაგრამ იმდენად შეცვლილია, იმდენად დაშრობულია თავის წყაროს, რომ არც კა ვიცით რა ვუწოდოთ — ივი არც პროზაული თარგმანი და არც პურარედი. ჩვენსა აზრით, მ. ბროსესათვის მოსავალი უნდა ყოფილიყო ნაწყვეტი „წიგნიდან ფატმანისა ავთანდილს თანა სამიჯნურო“:

„კე შევო, დმეტოსა განათვალ შევდ ცადდი დასაბადებლად,
მით შეგვმნა მოშორვებულთა ლეინად, არ ჭირთა მწადებლად,
ახლოს შემყრელთა ღამეებლად, მითად ცეცხლისა მაღადებლად,
და მათობთ შეინ შეხელვა ტაბილად უჩს, დანაქადებლად.
შენ გრძფიალობებ მცველეობინ, შენოვის საბრალოდ ბრდებინ,
ვარდი ხარ, მიკვირს, მულბული რად არ შეი ზედა კრუებიან!“

ზემოთქმულის საფუძველზე ფრანგულ კრებულში დაბეჭდილი „ღაზე-
ლის“ გზა ჩვენ ასე გვესახება: „ვეფხისტუაოსანი“→მ. ბროსეს შრომა→ა. თა-
ლასოს ანთოლოგა.

ახლა დაფუძნებული და „სიმღერას“. როგორც ჩინს, ამ ლექსისთვისაც ა.
თალასომ მასალა ისევ მ. ბროსედინ იღო. ჩვენ დავძებნეთ შესაბამისი ად-
გილი მ. ბროსეს შრომაში. აი ისიც: “Pourquoi me fuir ainsi, toi qui es
belle comme le soleil...? Pour vivre près de toi, roule-moi, s'il le faut, au
milieu les épines; je m'ôterai la vie à tes yeux, si tu me parles encore de
la sorte” ([12], 283).

„რად მექუავი ასე, შენ, ვინც შეხესაუით შშევნიერი ხარ...? შენს ახლოს
რომ ვაცხლორ, გამავორე, თუ საჭიროა, ეკლებს შორის; მე მოვისპობ სი-
ცოცხლეს შენს თვალშინ, ზუ შენ კიდევ დამტლაპძრავები მიგვარად“.

აქაც ანალიზით ვთარება: ა. თალასოსა და მ. ბროსეს ტექსტებს
შორის უთუოდ იგრძნობა ერთგვარი მსგაცება. ცალკეულ სიტყვათა გამე-
ორება და ნაწილობრივ შინაარსობრივა-ხრობრივი თანხვდენილობა საფიქ-
რებელს ხდის, რომ ა. თალასო მ. ბროსეს დაესესხა. მ. ბროსეს წყაროს —
ქრონიკი დედნის შესაბამისი ადგილის დაძებნა კი არ მოხერხდა.

მ. ბროსეს ცნობით, ზემოდამოწმებული ნაკვეთი „ვეფხისტუაოსნის“
1702 წელს დამზადებული ხელმაწვრიდნაა. ესაა პარისის ნაციონალურ ბიბ-
ლიოთეკაში დაცული „ვეფხისტუაოსნის“ ნუსხა, რომელიც შეიცავს პოემის
ერცელ რედაქციას. გაგრძელებათა ტექსტში ძალზე ბეჭრი შეცდომაა, ამიტომ
თარგმნა გამიტირდა, — წერდა მ. ბროსე ([12], 282).

ასეა თუ ისე, მთებედავიდ იმისა, რომ მ. ბროსეს წყარო — კონკრეტული
სტროფი ვერ დავძებნეთ, „სიმღერის“ გზა ჩვენ ასე წარმოგვიდგება: „ვეფ-
ხისტუაოსნის“→მ. ბროსეს შრომა→ა. თალასოს ანთოლოგია→ბერძნული გა-
ხეთი→ქართული პრესა. ე. ი. „ვეფხისტუაოსნის“ ტექსტის ნაწყვეტი ითარ-
გმნა ფრანგულად, იქიდან ბერძნულად, დაბოლოს ქართულად.

დასკვნის სიხით უნდა განვიცხადოთ შემდეგი: ბერძნულ გაზეთში დაბეჭ-
დილი ქართული მსახლი თარგმნილია არა არაბულიდან, არამედ ფრანგული-
დან, კერძოდ, ა. თალასოს ანთოლოგიიდან, რომელიც თავის მხრივ, მ. ბრო-
სეს შრომებითა დაგალებული.

მინაწერი: საჭიროდ მიგეაჩნია აღნიშვნოთ, რომ ა. თალასოს ანთო-
ლოგია უცნობი არ იყო ჩვენი მეცნიერებისათვის. კერძოდ, იგი ანოტირებუ-
ლია გ. იმედაშვილის კაპიტალურ შრომაში ([20], 256), დასახელებულია
რუსთველის კაბინეტის კრებულშიც ([13], 32).

ამაზე აღრინდელია საჭიროველის სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწი-
ფო საჯარო ბიბლიოთეგის შრომებში დაბეჭდილი წერილი — „შოთა რუსთა-
ველი უცხოეთის ლიტერატურაში“ ([21], 140—141), რომელშიც სათან-
დო აღილი აქვს მიჩნილი ა. თალასოს ანთოლოგია — ანოტირებულია

კრებულის „შემდგენლის შენიშვნა ქართულ ლიტერატურაზე, დაბეჭდილია ჩუსთველის ბიოგრაფიის თარგმანი, რომელიც, სამწუხაროდ, ყველას უფლებამოფრინად ვრჩია.

მიმღები ლიტერატურა

1. ბერძნებული გაზეთი შოთა რუსთაველის შესახებ, „ლომისი“, 6. X. 1922, № 6.
2. ბ. მათიკა შვილი, ქართული პოეზია ბერძნებულ ენაზე, „ბახტრონია“, 10.XII. 1922, № 22 (რუსთველის ბიოგრაფია, მისი და უცნობი ქართველი პოეტის ლექსია ბერძნებულიან თარგმა პ. აბულაძემ).
3. „თბილისი“, 7.VI.1984, № 131 (9449).
4. „ერთიანი“, 1983, № 2.
5. ბ. მათიკა შვილი, ბერძენი ტრივოგლიძის — რუსთველის ინტერპოლატორი „ქუთაისი“, 17.X.1965, № 205 (9953).
6. ბ. მათიკა შვილი, რუსთაველის ბერძენი ინტერპოლატორი, „დროშა“, 1966, № 3.
7. ლ. მებაბლე, რუსთველი უცხოეთში, „ვაცნე“ (ცლ), 1978, № 3.
8. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, თბ., 1978.
9. ბ. თოდუა, კვალი მედიანი, „ერთიანი“, 1983, № 2.
10. გ. ურაკაკე, საქართველოს მზე და სიყვარული აღმინის კუნისულზე. 3. მისტიფიკაციათა სინამდვივას? (შოთა რუსთაველის ეგრეთულებული რაბული ლექსიბის გამო), „თბილისი“, 7.VI.1984, № 131 (9449); 8.VI.1984, № 132 (9450).
11. A. Thalasso, Anthologie de l' Amour Asiatique; Paris, MCMLI.
12. M. Brosset, Recherches sur la poésie géorgienne; notice de deux manuscrits et extraits du roman de Tariel, „Nouveau Journal Asiatique“, V (1830).
13. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, თბ., 1976.
14. Е. Болховитинов, Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии, СПб., 1802.
15. M. Brosset, Recherches..., № JA, VI (1830).
16. M. Brosset, De la littérature romanesque géorgienne, „Bulletin de l' Académie impériale des Sciences“, XXIV (1877).
17. M. Brosset, État actuel de la littérature géorgienne, NJA, I (1828).
18. M. Brosset, Première Histoire de Rostéwan, roi d' Arabie, traduite du roman géorgien intitulé „L'Homme à la Peau de Tigre“, suivie de quelques Observations sur les dictionnaires géorgiens, NJA, II (1828).
19. M. Brosset, Recherches..., NJA, VII (1831).
20. გ. იმედი ვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა (1712—1956 წლები), თბ., 1957.
21. შოთა რუსთაველი უცხოეთის ლიტერატურაში (ბაბლიონულაფიული ნიმობილები), ქ. მარჯავის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგარეო ბიბლიოთეკის შრომები, IV (1938).

თუ ძეველი ქართული ლიტერატურის
ისტორიის კათედრა

Л. В. МЕНАБДЕ

ЕЩЕ РАЗ О ТАК НАЗЫВАЕМЫХ АРАБСКИХ СТИХАХ ШОТА РУСТАВЕЛИ

Резюме

В начале 20-х годов нынешнего столетия в афинской греческой газете была напечатана биография Шота Руставели и его два стихотворения, а также стихи неизвестного грузинского поэта. На основе мнения греческого переводчика Трикоглидиса предполагали, что первоисточником



этого материала является арабский текст из Каирского хранилища рукописей или Александрийской библиотеки.

В статье доказывается, что грузинский материал, напечатанный в греческой газете, переведен не с арабского, а с французского, в частности взят из антологии А. Талассо, который, в свою очередь, опирается на труды М. Броссе.

L. MENABDE

ONCE AGAIN ON THE SO-CALLED ARABIC POEMS OF RUSTAVELI

Summary

In the early 1920s a Greek newspaper of Athens published a biography of Rustaveli and two poems by him, as well as poems by an unknown Georgian poet.

On the basis of a statement by Tricoglides, the Greek translator of the material, the publication was assumed to be based on an Arabic text stemming from the Cairo archives of manuscripts or a library in Alexandria.

It is shown in the present paper that the Georgian material published, in the Greek newspaper was translated not from Arabic but from French, namely, from an Anthology compiled by A. Thalasso, the latter being in turn indebted to the works of M. Brossset.

არჩილისა და დ. გერამიშვილის მხატვრული პაროვენების

ზოგიერთი საკითხი

ლუისა პუმბურიძე

მე-17-18 საუკუნეების ქართველ პოეტობან დ. გურამიშვილი სამართლად იმკვიდრებს დაგილს რუსთველის გვერდით. მართალია, დ. გურამიშვილი რუსთველის პოეზიაზე ღრმული შემოქმედია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ის ბრძანდ მიძყვება სახელოვანი წინაპრის მიერ გაცალულ გზას და ზოგიერთი ეპიგონივით რუსთველის მონურ მიმბარელად გვევლინება. პირიქით, რუსთველის პოეტურ მემკვიდრეობმობან ზიარება დაეხმარა და გურამიშვილს, რომ ღრმად ჩასწერომოდა თანამედროვე საზოგადოების სულიერ ინტერესებს და მათ შესაბამისად აუმჯრელებინა თავისი პოეზია. ამასთანავე თუ და გურამიშვილის მხატვრული ხაზრევი ღრმად ერთვნულია და მისი ეპოქის თანამდროობრივი მძღვანელი ეხმატება, ამაში დიდი წვლილი რუსთველობან ერთად, მიუღვით აღორძინების ხანის მწერლებს: არჩილს, სულხან-საბას, ვახტაგ VI, მამუკ ბართაშვილს და სხვ.

დ. გურამიშვილზე განსაკუთრებული გვლენა ორჩილმა მოახდინა, მაგრამ „ზავითიანის“ ავტორის ლირიკა მარტო ამ გვლენით ვერ აისხება. მას ვანსაზღვრავს პოეტის მხატვრული აზროვნების ის თავისებურებები, რომლებიც მას პოეზის თრივინალურსა და თვითმყოფადს ხდიან.

მართალია, სამცნოერო ლიტერატურული ღრიშნულია დ. გურამიშვილზე არჩილის გაელენის ფაქტები, ([1], 2), მაგრამ რომ უფრო სრულად წარმოჩინდეს გაელენისთან ერთად ის თავისებურებებიც, რომლებიც მათ ძალაში ხასიათების მრავალ მნიშვნელოვან პრობლემას მოიცავს, საყითხი კვლავ დამატებით შესწავლას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით ნაშრომში ყურადღება შევაჩრეოთ ზოგიერთ ისეთ მოქმედზე, რომლის გაზრება გამოავლენს როგორც არჩილისა და დ. გურამიშვილის პოეტურ სახეს, მე იმ თავისებურებებსაც, რომლებიც მათი ეპოქის ქართული ლიტერატურისთვისაა ნიშანდობლივი.

აღორძინების ხანაში პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის გაერთიანება ერთ კრებულად ავტორის სახელდების ქვეშ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ასეთ კრებულს ზოგჯერ თვით ავტორი დაგენდა. მაგ. „დავითიანი“ რომ დ. გურამიშვილის მიერაა შედგენილი, ეს პოეტის სიტყვებიდანაც ნათელია:

„დავითიანი“ ესთემ დავით გურამიშვილის გარაზო ([3], 21).

მართალია, „არჩილიანის“ ავტოგრაფი არ მოვევოვება, მაგრამ, როგორც პოეტის ხელნაწერი მემკვიდრეობის შესწავლით გაირკვა, კრებულის ორი უძვე-

კუსი ნუსხა (S—424 და ლენინგრადის N 22) შედგენილი და გადაწერილი არ-
ჩილის უშვალო ხელმძღვანელობით მისი უახლოესი თანამშრომლებისაგან შემოვა
მნიშვილისა და დ. თურქისტანიშვილის მიერ ([4] IX—XX).

სახელწოდება „არჩილიანი“, რომელიც კრებულისთვის თვით პოეტს შეუ-
რჩევა, მისი სახელიდანაა ნაწარმოები, იგი არჩილს შთამომავლობისათვის და-
უტოვებია, როგორც მოსაგონარი წიგნი:

„მოგირთვი ჩემიდ სახსოვრაზ, ძმან და ჩემთ და, და

მომგონებლით მ წიგნით ტყბილია, არ საიდა“ ([4], 67, 25).

სახელწოდება „დავითიანის“ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გან-
სხვავდებული შეხედულება არსებობს. დ. გურამიშვილის მხატვრული ან-
როვნების თავისებურებითაა გამოწვეული, რომ „დავითიანის“ როგორც სა-
თაურის, მაგ მისი არქიტექტონიკის სხვაგვარად გააზრების საკითხი დადგა.
ერთდღ, რ. სირაძე სწორად შენიშვნას, რომ „სიმბოლურობა შეეხო
„დავითიანის“ ავტის პრინციპებსაც. კრებული დაყოფილია 4 წიგნად და მო-
სალონებით, რომ ეს ხდება სესარება-ოთხთვეს ანალოგით, ასევე ანალოგი-
თ შეიძლებოდა გააზრებულიყო თვით სათაური კრებულის „დავითიანი“ („და-
ვითიანი“) ([5], 285).

„არჩილიანი“ ასეთი შეხედულების გამოთვენის საშუალებას არ იძლევა,
კინაიდან კრებული პოეტის მიერ წინასწარ მოფიქრებული გეგმის მხედვით
არა შედგენილი და ამატომ ის აგების არაეთამ პრინციპს არ ემორჩილება;
როგორც არჩილისათვის, ისე მისი თანამშრომლებისათვეს „არჩილიანი“ მხე-
ლოდ კრებულია და არა პოეტის მიერ მთლიანობაში გააზრებული ნაწარმოე-
ბა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ არჩილისაგან დამოუკიდებლად კრებულის ხელნაწე-
რებს ავსებდნენ პოეტის იმ ლექსებით, რომლებიც „არჩილიანის“ შედგენის
შემდეგ დაიწერა. ([4], IX—XX).

ამრიგად, „არჩილიანი“ ერთი მთლიანი მეთოდით არაა იგებული. მიიტომ
საში შემავალი ყოველი ნაწარმოები შესაძლებელია კრებულისაგან დამოუ-
კიდებლად გავითხროთ. ყოველივე ამს გამო კრებულის არც არქიტექტონიკის
სკითხი დგება. მისი შედგენის მიზანი მხოლოდ ერთია—გააერთიანოს პოეტის
ლიტერატურული მემკვიდრეობა. ასეთ მიზანს „დავითიანის“ ავტორიც ითვა-
ლისწინებს, მაგრამ მის კრებულში განსხვავებული კოთარება გვაქვს. „დავი-
თიანის“ შინაარსი ერთიან მხატვრულ ქსოვილს ქმნის. პოეტის პიროვნული არ-
სის გასახსნელად სწორედ კრებულის მთლიანი გააზრება საჭირო.

„დავითიანის“ სათაური რაგვარად გააზრება. სათაურის ტრადიციული
გააზრება, რომელიც თვით პოეტის სიხელიდან მომდინარეობს, დ. გურამი-
შვილთან ისე მარტივია არა წარმოდგენილი, როგორც არჩილთან.

როგორც ცნობილია დ. გურამიშვილის აზროვნების თრადიციონიბა ახსია-
ოებს ([6], 165—169), ([7]), ([8], 116—148), ([9], 214—237); რეალური და
სულიერი პლანის ერთმანეთისაგან ვათოშვა ძნელდება. აზროვნების ეს თავი-
სებურება კრებულის სათაურის გააზრებაშიც იჩნებს თავს. რ. სირაძის შეხე-
დულებით, „დავითიანი“ მრავალი ნაწარმოებისაგან შედგება, მაგრამ ამავე
დროს იგი გარკვეული სტრუქტურული მთლიანობა და არა სხვადასხვა
ნაწარმოებთა უბრალო კრებული. მისი სტრუქტურული მთლიანობის განსა-
ზღვრული მოტივი ნათელყოფს, რომ იგი უნდა იწყებოდეს „ამ წიგნთა გამ-
ლექსივის გარესა და სახელის გამოკხადებით“ და სრულდებოდეს „ამ წიგნის
გამლექსივის გარესა და სახელის გამოკხადებით“. ესაა მოტივი თეოზემეცნებისა და თვით-
დამკვიდრებისა“ ([8], 131). !

ვინიდან „დავითიანს“ სტრუქტურულიდ კრიტ „სულიერი თათიშვემცუნა-
ბის წევდი“, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მას მეორე პუნქტის მიერ-
თან, დავთ წინასწარმეტყველთან, და მთელი კრებულის მანძილზე იგრძნობა
სწრაფვა მასთან მიახლებისა და ეს მიახლება არის იმპულსი დ. გურამიშვილის
პოეტური თეოზისისა, განწყვევდისა და გამდერთებისა, მისი სულის თვითშე-
წეცებისა და დამკვიდრებისა, ამიტომ კრებულის სათაურის ორგანიზაცია გააზრუ-
ბა, ჩვენი ასრით. სულიიდ ბუნებრივია, ტრადიციულთან ერთად აქ მოახრე-
ბა სულიერი პლანიც, კერძოდ, ის დიდი სულიერი სიახლოვე, რომელსაც ჰო-
რა დაფიც წინასწარმეტყველისადმი ავლენს.

როგორც სამართლიანადაა შენიშვნული, კრებულის სათაური „დავითიანს“
მარტო პოეტის სიხელიდან არ უნდა მომდინარეობდეს, იგი „დავითიანს“
სულიერ სიახლოვესაც გვაგრძნობინებს, რაც პოეტის შემდეგი სტროფები-
თაც დასტურდება:

„ამად ამ წიგნისა სახელად უწერდე დავითიანი,
დართ შევაწევ, შევირე, ვით ვარდნა და ვით ახა,
გრლის მოგვუცირე მუწუკა, მება ზედ ავი თანი,
ზედ გულზედ ვიბი იგა ხე ძაციანი და ღვთიანი“ ([3], 265).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურშია აღნიშვნული, დ. გურამიშვილის
„დავითიანის“ შინაართი ერთი მთლიანი მხატვრული მეთოდითაა აგებული-
პოემა „ქართლის კირი“ კრებულის ორგანული ნაწილია და უშუალოდ ერწ-
ყის მის მხატვრულ ქსოვილს. ივი არჩილის ლიტერატურული პრინციპების
ძიხედვითაც ავებული. მაკაზი პოეტის თანადროული კონკრეტულ-ისტორიული
სინამდვილეა სახული, ეპოქის ისტორიულ ეპიზოდებში უშუალოდ შერწყმუ-
ლია პოეტის ტრაგიზმით ასახულ ბიოგრაფია. პოემის ლირიკულ წიაღსვლებ-
ში კი პოეტის ეროვნული ტკივილით ვინოვეული ღაღლადისი ისმის, რომელიც
მკოთხველზე ილიერ ემოციურ ზეგავლენას ახდენს.

თუ ასეთ ემოციას ვერ იწვევს არჩილის „გაბასება“, ამის მიზეზი ისაა, რომ
პოეტი გარდასულ ეპოქათა ისტორიულ სინამდვილეს ხატავს და ერთმიწერთ-
ან დაპირისპირების გზით აყალიბებს ლიტერატურულ-თეორიულ მოსახრე-
ბებს და მათ პრაქტიკულ ხორციელებას იძლევა.

ბის მიუხედავად, არც XIX საუკუნის ეპიკული ლიტერატურის დაფუძნებული უმრავლესობა სრულდებოდა ორიგინალიდან. მის ერთ-ერთი შემცირებული დია, ას იყო, რომ დასაცლეთერობული ენები მაშან იყიდებდა ჩენები ფეს და რუსული ენა დიდი ხნის მანძილზე ეროვვარი შეამაღლის როლს ისრულებდა. ქართული ენა საბოლოოდ ფორმირებული არ იყო, ცხარე დაც მიმდინარეობდა ენის ნორმების დასაცავიდ და ძილებიდ, თარგმანთა დიდი ნაწილი მიაღადმხატვრული ღირსებებით არ გამოირჩეოდ. მავრამ ქვე უნდა ითქვას, რომ ბევრი ნაკლისა და ხარვეზების მიეხედავად, მა თარგმანებს თავისა ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. სრულიად მართებული წერის გაეც გაჩერილია — „გადაუჭირებებლიდ შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში შესრულებულმა თარგმანებია, მიუხედავად იმისა, რომ მათი უდიდესი ნაწილი დედნებიდან კი არ სრულდებოდა, არამედ უფრო ხელმისაწვდომი რუსული თარგმანებიდან, მნიშვნელოვანი ისტორიული როლი შეისრულეს... ვალე გამოცემული თარგმანით წიგნები და განსაკუთრებით შერაოდული გამოცემები „ცისკარი“, „იდერია“, „მოამბე“, „კალი“, „ცნობის ფერცელი“ თავისი დამატებით და სხვებია, რომელიც დიდ ადგილს უთმობდნენ თარგმანილ ნაწარმოებებს, ქართველ მკონხელს აცნობდნენ მისთვის უცნობ სამყაროს, უფართოებლენენ გონებრივ პორიზონტს, უცემულენენ გემოენებას და ხელს უწყობდნენ სალიტერატურო ენის განვითარებას. მათი წილობით თრიგინალური ქართული ლიტერატურაც გამოღილდა პროვინციული კარჩაეტილობიდან და წერილმანი კერძო საკითხების სახეის ნაცვლად, და მხატვრული განხოგადებისაენ შისწრაფულდა“ ([12], 60).

თარგმნის ორი ტენდენცია მეოცე საუკუნის თარგმანებშიც გაგრძელდა, თუმცა მოწოდებები თარგმანის ორიგინალიდან შესრულების შესახებ არ დაშცხირათ. ურნალ „პრომეთში“ რედაქციის მიერ გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნულია: „ინება უცხოეთის მწერლობის განყოფილებაც, სადაც მოკათაგებთ საუკეთესო ნიმუშებს მაზრაული და მიღრაბული ლიტერატურიდან. ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს ურნალს არ უყვარს და არც ეკარება თარგმანის თარგმანი“ [13]. მოგვინებით კი უურნალ „ლომისში“ დაიბეჭდა რეცენზია თხარი უაღლდის „სალომეს“ თარგმანისა და მისი ინსცენირების შესახებ. რეცენზიენტი წერს: „სალომეს“ მთარგმნელიც მოიკოჭებოს ლიტერატურულ ქართულში. დევნილ ქართულ ენას ღდითვანები ქართული თეატრი უფრთხილდებოდა. სევე უნდა მოხდეს დღესაც. მაღლობა ღმერტოს, მოგვეპოვებიან ევროპული ენის მცოდნენი. დირქეცია უნდა ერიდოს თარგმანის თარგმანს, თუ ამას განსაკუთრებული შემთხვევა არ მოითხოვს“ [14].

კიდევ მრავალი ამონაშერის მოტივი შეიძლება XX საუკუნის პირველი მეოთხედის ლიტერატურული პერიოდიდან, სადაც სიქმიოდ მეაცრად იღვა უშეაღლოდ ორიგინალიდან თარგმნის საკითხი. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დამკვიდრებული პრეტიცელული მთარგმნელობითი სემინონბიდან აროგინალიდან თარგმნის ტენდენციის საბოლოოდ აღმოფხვრას გარკვეული დრო დასჭირდა.

აღმოსავლური ლიტერატურის ქართულ ენაზე თრიგინალიდან თარგმნის ტრადიციის მრავალსაცუნვანი ისტორია აქვს. სევე საუკუნეებს ითვლის ქართული ლიტერატურის ურთერთობა · დასავლეთის — უმრატესიც ბრძანებულ ლიტერატურისთვის. დასავლეთერობული მწერლობის ქართულ და თარგმნა კი, როგორც უკვე აღნიშნეთ, გვიანდელ პერიოდს განცემულება. თარგმნის მასალას სატურებული შეიძლება ითქვას, რომ ამ ჟრანტი, როგორც

დასაცლეთევროპული ლიტერატურის თარგმნი დაიწყო, რესტური ენა შეუამჯობის როლს ასრულებდა. შემდგომში დედობადან შესრულებულ თარგმანებისაც ექვედებით, მაგრამ ქართულად ასუტული უჩიარიანი ხითონები ხითონებისაც ლიტერატურული რის ფონზე ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევაა. დასაცლეთევროპული ტერმინის მიმდევალიდან თარგმნის ტენდენცია საბოლოოდ მხოლოდ XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბდა. ეს მოვლენა კი უშუალოდა და იავშირებული იყო მაჩაბლის სახელთან. აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი — ა) ივანე მაჩაბლი შექმნა მიღალმხატვრული თარგმანები, რომლებიც ახალი ეტაპი დაიწყო ქართული თარგმანის ისტორიაში, ბ) დასაცლეთევროპული მწერლობის ორიგინალიდან თარგმნის ტენდენცია ცველაზე მასშტაბურად ინგლისური დატერატურით დაიწყო.

ფრანგული ლიტერატურის ქართულა თარგმანებიც გარევეული დროის მანძილზე აღნიშნული ორი ტენდენციის შესაბამისად სრულდებოდა. გასულ საუკუნეში უშუალოდ ფრანგულიდან თარგმანიდნენ დამიტრი და დავით ყაფანები, გოორგი წერეთელი და სხვანი. არაორიგინალიდან რამდენჯერმე თარგმნა ვიქტორ პოლგოს ნაწარმოებები, ბერანექეს ლექსები და სხვ., ხოლო რაც შეეხება ფრანგული ლიტერატურის ორიგინალიდან თარგმნის ტრადიციას შექმნას, აქ უმნიშვნელოვანების მოვლენის გერონტი ქიქოძის თარგმანები წარმოადგენა. მან საბოლოოდ დაიძევიდა ჩერნში ფრანგული ლიტერატურის დედნიდან თარგმნის ტენდენცია და საინტერესო ინდივიდუალური მთარგმნელობით მეთოდი შეიმუშავა.

გერმანული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნამაც იყივე გზა გაიარა, რაც ინგლისური და ფრანგული მწერლობისამ. ოლონდ ვერმანული ლიტერატურის თარგმნის პროცესში უფრო დიდაბანს თანაარსებობდა ორივე ტენდენცია. 50-იანი წლების მიწურულიდან კი უკვე აშკარად შეინიშნება ორიგინალიდან თარგმნის სპოლოო დამკვიდრება.

ასე თანდათან მოიკიდა ცეხი ჩერნში დასაცლეთევროპული ლიტერატურის ორიგინალიდან თარგმნის ტენდენციამაც. უდავოა, რომ მთარგმნელობითი ლიტერატურა თარგმანულად ერწყმის მწობლიური ლიტერატურის განვითარების პროცესს, გარკვეული ავსება მცი და კავშირს ძირიებს კონკრეტულ ეროვნულ ლიტერატურისა უცხოეროვნულ ლიტერატურულ პროცესს შორის. ნევნი ეროვნული ლიტერატურის ძალის დიდი ხნის მანძილზე მდგრადდებოდა როგორც თარგმანალიდან, ასევე არაორიგინალიდან შესრულებული თარგმანებით. საბოლოო გამში თარიღები მათგანა ეროვნული მწერლობის განვითარების ემსახურებოდა. საღლეისოდ დედნიდან თარგმნის ტენდენციამ უკვე თითქმის სრულად ვანდევნა არაორიგინალიდან თარგმნის პრაქტიკა, რაც აუკიდებელი უფრო და უძველესი არის.

ON THE INTERRELATIONSHIP OF TWO MAIN TENDENCIES OF LITERATURE IN GEORGIA

1. კ ა რ ე ლ ი ძ ე კორნელი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960.
2. ც ი ც ი ძ ე ლ ი გოორგი, ქართველი ხელის ლიტერატურული ურთიერთობის სხვა ეტაპთან და მათი შეწავლა ჩეგნა დროში, წიგნში — ეპოქა და არატატურა, თბ., 1981.
3. გ ე კ ვ ლ ი ძ ე კორნელი, მთარგმნელობითი ძეთვით ძევლები ქართულ ლიტერატურში, და მისი ხასიათი; „ლიტერატურული ძაგლი“; ტ. VII, თბ., 1951.
4. კ ო რ დ ა ნ ი ძ ე თელო, ქორნელი, 1, 227.



5. სულხან-შავა თრ ბე ლიანი, ანდრია: „ქილალი და დამანა“, თბ., 1949.
6. ბარათ გეოლი წევოლოს, ლექსიმი, პუშმა, წერტლი, თბ., 1939. მართლწელი
7. რევიზიცილი შოთა, გორგულ-გერმანიული ლატერატურული ურთერთობების კრიტიკა, თბ., 1969.
8. ნიკოლა ნიკო, ჩერნი მწერლობა, ქ. „არებული“, 1872, № 10.
9. კალანდაძე ალექსანდრე, ნარგევები ქართული უტრალისტების ისტორიაზე, თბ., 1965.
10. გესტი სერგე, რეცენზია წევნებ „თარგმანი სამო ხედითხეთა თხულებათა“, გაზ. „ღროვანი“, 1872, № 44.
11. შერეთ გალა გორგა, რეცენზია შეკსარის ლექციის „პირველი ცოლი მორგულება“ თარგმაზე, გაზ. „აგალი“, 1899, № 53.
12. ვინწილაძე ვაჟი, მარტვრული თარგმანის თეორიის საკითხები, თბ., 1958.
13. ქ. „ბრომეფე“, 1918, № 1.
14. ქ. „ლომენის“, 1923, № 26.

თუ სხრ ხალხთა ლიტერატურისა და მხატვრული
თარგმანის კათედრა

М.В. ОДЗЕЛИ

О СООТНОШЕНИИ ДВУХ ТЕНДЕНЦИЙ ПЕРЕВОДА В ГРУЗИНСКОМ ЛИТЕРАТУРОВЕДЕНИИ

Резюме

На всем длительном протяжении развития переводческой практики в Грузии выработались и теоретические принципы перевода. Одним из самых значительных требований к переводчику было требование перевода непосредственно с языка оригинала. Эта проблема была поставлена еще в XI веке. Вопреки теоретическим воззрениям очень часто встречаются и переводы, сделанные с языка-посредника. Несмотря на значительные недостатки, эти переводы сыграли большую историческую роль на различных этапах развития общества. Таким образом, длительное время существовали две тенденции перевода — с языка оригинала и с языка посредника.

Тенденция перевода произведений восточной литературы с языка оригинала существует с древнейших времен. Подобная тенденция перевода западноевропейской литературы оформилась лишь в 90-е годы XIX в.

M. ODZELI

ON THE INTERRELATION OF TWO MAIN TENDENCIES OF LITERARY TRANSLATION

Summary

The basic principles of literary translation in Georgia evolved and underwent gradual refinement over a long period of national history. One of the most important problems was that of translating from the original. Theoretical statements dating from the 11th century demanded that the translation

work from the original. Since then many Georgian scholars emphasized the necessity of translating from the original.

In the practice of translation in Georgia two main tendencies: a) translation from the original and b) translation from an intermediary language coexisted for a long period of time.

Although much attention was paid to theoretically formulated views, along with the translations from the original, translations done not from the original language were quite frequent. In spite of considerable flaws such translations were historically important in different stages of the development of the Georgian society. The tradition of translating into Georgian works of oriental literature from the original language was centuries old; whereas with regard to Western literature the same process commenced in the 1890's.

„მზე მაგრუნვება...“

(„ვეფხისტყაოსნის“ ერთი მხატვრული ხახის ინტერვიუტაციისათვის)

ელგუჯა ხილიძის

ტარიელს მოტრედ განმორებული ავთანდილი შორეული ქვეყნისაკენ —
ფრიდონის სამეფოსაკენ გაემგზავრა. მარტოდ დარჩენილი მოყმე კაშანია
მოიცეა, თვალი ზეცისკენ აღაპყრო, მხეს, მთვარეს, მნიობებს შევვედრა.
უაბდო მათ საკუთარ უნაბირო სკელაზე, გულისტყვილზე, დახმარება შესთხოვა.
სხვა მნათობთა რიგში გმირმა კურადღება მერკურზე შეაჩერა. მერკურის
ანუ ოტარიღის ბედი საკუთარ ბედს ამსგავსა: მზის სხივებით წეოჭალა და
დამწერი მნათობის ხილვამ თავისი მწველი მხე — თინათინი მოაგრძნეს და
ძწიგნობართა მფარველ ცოდნილს საკუთარი უბედობის აღწერა სოხვია:

„ოტარიღო, შენგა კიდე არის მგადას საქმე სხვას:

შე გაბრუნების, არ გძინდების, შეიიყრის და მიმდებარების შვასა:

დაგ წრად კითო ჩემთა მელნად მოგდებ ცრდმლა ტბასა, ისამას კარგი გიცევთ ვაწლობილა ტანა, წერტლა კოთა მამა“ (1963)!

ციტირებულ სტროფში რუსთველის შექმნილი სახე ასტრა-
ლური სიმბოლიკის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს. მერკური ბრუნავს ორბი-
ტზე, რომელიც მშესონ ყველაზე ახლოსაა. ინი დაშორება მზისაგან დედა-
მიწასა და მზეს შორის მანძილის მხოლოდ 0.39 ნაწილს შეადგენს. იმტრომაც
იგი შეიძლება წარმოდგენილ იქნას მნათობად, რომელიც განუწევეტლა
მზეში კიაკობს, მის სხივებში მიიკვლევს გზას და, როცა იგი ორბიტის იმ ნა-
წილშია, რომელიც დედამიწიდან დამკირცხებლის წარმოდგენით, ახლოსაა მზის
დისკისთან, მზეში იწვეს. ამ სახეში პოეტმა სიტრფოს ცეცხლით დამწევა
მიჯნური ღაინახა: მხე — სატრფო არ უშევებს მიჯნურს, იზიდავს და წვაცს...
ასე მეორდება მიწყივ და უსასრულოდ.

გარდა ასტროლოგისა, ციტირებულ სტროფში ერთგვარი ასტ-
რონომისული საფუძველიც ჩანს: თითქოსდა მითითებულია, რომ პლანეტა
მერკური მზის იზგვლივ ბრუნავს; ავთანდილს, ისევე როგორც ოტარიღს, ამ-
რუნებს მზე. როგორც ცნობილია, შეა საუკუნეებში ვეგრცელებული თვალ-
საზრისის თანახმად, სამყაროს ცენტრში დედამიწა იყო მოთავსებული. მნა-
თობების მათ შორის მზე, მჩხეული იყო, რომ პრუნევნენ დედამიწა

¹ მოგვას სტროფები მოგვევა „ვეფხისტყაოსნის“ 1965 წლის გარიბებაზე გმოცმის [1].

არგვლიდეს. მითომ, ზეციურ მნათობთა განლაგების ამგვარ სისტემას გუნდუნი რუსთველი ამ საზოგადო წარმოდგენებისაგან უფასისულია ექით, ამ სტრუქტის თანახმად, თითქოდა ძლიერებს, რომ პლანეტუმის კუსკუმურა რა მზის ირგვლივ ბრუნვებს. ამ გარემოებაში ზოგიერთ კულტურას ფიქტურებია, რომ პლანეტაზე იყრმნობა ჰელიოცენტრიზმის ნიშნები, სხვებმა კი ეს სტრუქტი სკარისად მიიჩნიეს იმის სამტკიცებლად, რომ რუსთველი ჰელიოცენტრისტია [3]; [4]; [5].

მერკურისა და მზის აღნიშნული ურთიერთობა განხდა ამოსავალი მთელი და თავისებური თვალსაჩინისა რუსთველის კოსმოლოგიურ შესედულებებზე, რომელიც ჩამოყალიბებულია ვიორგი თევზაბის წიგნში „რუსთველის კოსმოლოგია“². მკვლევარი ამგვარად მაჯელობს: „ზემოთ მოყვანილ სტრუქტი მითობულია მერკურის მზის გარშემო რობიტალურ მოირაობაზე (გვ. 53—54, 131—132). რუსთველის ყოქაში ცნობილი პლანეტებიდან ზუსტად მერკურის მსგავსი ვანლაგება სივრცეში მხოლოდ ვენერის გააჩნია. რომ ერთნაირად მოძრეო პლანეტიდან რუსთველი ახასიათებს ერთს, ნაშასადამე, იცის, რომ მეორეც ასევე მოძრობს. ე. ი. რუსთველს მიაჩნია, რომ მერკური და ვენერა მზის ირგვლივ ბრუნვებს (გვ. 55). ამის უნდა ისიც დაემატოს, რომ მზე პოემის მიხედვით „მძღვათა მძღვათა მამაგრობელია“. მაშასადამე, აღიარებულია მზის აშერი ვაკლენა დანირჩენ მნიობებზეც. ეს გავლენა კი ისეთივე უნდა იყოს, როგორიცაა მზის მოქმედება მერკურისა და ვენერის მიმართ. ე. ი. უნდა „ვირწმუნოთ, რომ რუსთველის აზრით, ისე, როგორც მერკური და ვენერა, მარსი, იუპიტერი და სტურიც მზის გარშემო უნდა მოძრობდნენ“ (გვ. 93). იმავე დროს, პოემის მიხედვით ის ჩანს მზის ვაკლენა დედამიწისა და მოვარეზე (გვ. 89—90). აქედან გამომდინარე, რუსთველის წარმოდგენით, საცეკვოს ცენტრში დგას დედამიწა, რომელსაც ირგვლივ უელის მთვარე და მწერ მზე თავის მხრივ მძრენებს თავის ირგვლივ დანირჩენ მნათობებს: მერკურს, ვენერას, მარსს, იუპიტერს, სატურნს. ამ წარმოდგნაზე დამყარებული რუსთველის მნათობთა რიგი, რომელიც ასახავს დედამიწიდან მნათობთა მექანიზმურ დაშორებას და ასეთ სახეს იღებს: სატურნი, იუპიტერი, მარსი, ვენერა, მერკური, მზე, მთვარე (გვ. 74, 110). ასეთ კოსმოლოგიურ სისტემას ეწოდება კო-ჰელიოცენტრული სისტემა. რუსთველის მოვარეობიდან 400 წლის შემდეგ დასავლეთ ეკროპაში ტიპობრივ ბრაზე მივიდა იმავე დასკვნამდე და წარმოადგინა გეო-ჰელიოცენტრული სისტემის დასაბუთება (გვ. 117—121). უფრო მეტიც რუსთველს ეს-მოდა ციურ სხეულთა წრიული და ცლიფსური მოძრობის მიზეზები, რაც უცნობი იყო თვით კოპერნიკისა და ტიბო ბრაზესათვისაც (გვ. 131). ესაა მნათობის მოძრაობის ინერციული ძალისა და მზის მიზიდულობის ძალის ურთიერთობა, რაც ჩანს მზისა და მერკურის ურთიერთობების — „არ გამიშვებს“ (გვ. 110). ეს დიდი სიახლე სტრუნკმიული მოძრვრების ისტო-

¹ თუმცა მზისა და დანირჩენი მნათობების დედამიწის მრგვლივ ბრუნვა განსხვავდებულად ქრონდათ წარმოდგენილი თუ მზე დედამიწის ირგვლივ უშერალოდ შემოწერს წრეს, მნათობები რამდევ მოძრაობს სარულებენ — მოძრაობენ მცირე წრეზე, თოთოეული რადაც ენგტრის ირგვლივ, ხოლო ეს ცენტრი თვეს მხრივ გარს უკლის დედამიწას ([7], 5).

² ეს წიგნი პარეელად 1979 წელს გამოიცა, მეორედ — 1984 წელს. წინამდებარე სტრატეგიული გეორგიზმი პარველი გამოცემითაა მითოდებული, რაც დენარიულ სტრატეგია 1980 წელსადაც დაწერილი, მისი გადამტკიცებისა გვითვალისწინეთ ამ წიგნის გარშემო გამართდა პოლე-

რიაში რესოველის სახელთან უნდა იქნას დაკავშირებული, რამდენადაც, როგორც წყაროებიდან ჩანს, XII საუკუნის საქართველოში პლანეტას უკავშირდი დიციული, გეოცენტრული სისტემა იყო ცნობილი და პოვლას უკავშირდი სადამე, რუსთველს თვით უწარმოებია ხანგრძლივი და ძალზე ეფექტური ასტრონომიული დაკავირებანი. ამდენად იგი იმ დიდი ასტრონომიული მიღწევა-ბის ავტორადაც უნდა დადგინდოთ (გვ. 133).

ჩვენი აზრით, ზემოთ წარმოდგენილი დასკვნების განხილება უეცლებელია, რამდენადაც ისინი არ ემყარებენ არც მეცნიერული არგუმენტების მეთოდს და არც „ვეტენსტუციის“ ტექსტის „უსტ ანალიზს.“

დავიწყოთ პოენისეულ მნათობთა რიგის საკითხით. მკელევრის აზრით, ცორმილთა მიმართ აკათადილის ცნობილ ველრებში წარმოდგენილი რესტელისეული მნათობთა რიგი (სტროფები: 958—965) უღლესად თავისებურია: ზუალი, მუჟთარი, მარიხი, აპირონი, ოტარიდი, მზე, მთვარე. სინამდვილეში კი აკათადილის ცნობილ ველრებაში თოთოეული მნათობისადმი ცალკალკეა მიმართვა: რონელაც მორთლაც იძლევა ვარკვეულ რიგს და იგი ასეთია: მზე, ზუალი (სატურნი), მუჟთარი (ოუპიტერი), მარიხი (მარსი), აპირონი (ცენერი), ოტარიდი (მერკური), მთვარე. მკელევარი ცდილობს არსებითი კორექტივი შეიტანოს იმ წყობაში. მისი აზრით, მზისადმი ველრები არ იწყებს მნათობთა ჩამოთვლის, რადგანაც მნათობთა დასახელება აკათადილის მაშინ უნდა დაწყო, როცა ცაზე ისინი გამოჩნდებოდნენ. აკათანდილის მზისადმი მინართვის დროს კი დღია, გმირი ტარიელს სტლად გამშორებულია (აკათანდილი ტარიელს დილით დაშორდა და ფრიდონისეკნ გვემირთა), „ცაზე შეხლოდ ერთი ციური სხეულია — მზე. ასე რომ, როგორდა შეიძლება პლანეტათა ჩამოთვლაზე ლაპარაკი?“ (გვ. 70).

ამგვარად, მკელევარი თავისი პოზიციის საყრდენად იღებს ჯებულებს რომელზედაც „ვეტენსტუციისნის“ მიხედვით, აღნიშნულ ეპიზოდში („წასვლა აკათანდილისაგან ფრიდონისასა“) არავითარი მინაშება არ არის: „ველრების წარმოქმნის სურათი უნდა იყოს რეალური“ (გვ. 69), რაც იმანიშვნები, რომ აკათანდილი უნდა ველდრებოდეს იმ მნათობს, რომელსაც ზეცაზე უშუალოდ ხედავს. იმიტომაც, მკელევარის აზრით, აკათანდილია ველრები მზისადმი („ააა, მზეო, გვაგები...“) დღისით ბოხდა; ხოლო უშუალოდ მომდევნო სტროფი, ველრები სატურნისადმი („მო ზუალო...“) აკათანდილიმა ღამით წარმოსთქვა: „მზის ჩასვლიდან 2,5 საათის შემდეგ, თბილისის ღროით 20 საათასა და 31 წუთზე“, როდესაც „აღმოსავლეთით, პორიზონზე პირველიდ პლანეტა სატურნი ვამოჩნდება“ (გვ. 71). იმისათვის, რომ მომდევნო სტროფი ვალობისა აკათანდილს იმავე ღამის წარმოაქმევინოს, მკელევარი კალენდარში ეძებს ისეთ ღამეს, როცა ცის თაღზე ყველა მნათობია და აღმოაჩენს კიდევც, 1966 წლის 15 აგვისტოს ღამით ყველა მნათობი ჩანსა ცაშე. რამდენადაც „ამგვარი ციური მოვლენები მარცდ ზუსტად განმეორებადია“ (გვ. 70), მკელევრის აზრით, აკათანდილი უგალიბდა მნათობებს ერთ-ერთ

1 „აღნიშვნულ ეპიზოდით“ იმტკომი გაფაზიერთ, რომ სხვა შემთხვევაში პლანეტის საგანგმოოდა მოთხოვდებული ინ ერთობაზე, რომელსაც გმირში მნათობთა უშუალო ხილვა იწვევს. კერძოდ, სხვა კირზი — „წასვლა აკათანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორეფ“, სადაც აკათანდილს განვიყობა პოტი ანგელიან ასასიანებს: „ღმერ აღხენილის, ლე სჭიდოს, ელის ჩასლვასა მზისას“ (841), ისიცა მოითხებული, რომ გმირს ამშეილებდა ვარსკვლავთა უშუალო შერეტა და მოთხოვ სუბარი:

ასეთ დამწეს. ამგვარად, სატურნისადმი გალობის შემდეგ მომდევნო სტროფი წარმოსათქმელად აკთანდილი ექვსი საათი ელოდებოდა. ცაშე იუპიტერის გამოჩენის. „ამის შემდეგ დამის 2 საათსა და 37 წუთზე ამოვა კაშკაშვილის ნეტა იუპიტერი... აკთანდილი სატურნის შემდეგ იუპიტერს მიმდინარე“ (გვ. 71). იუპიტერს მარსი მოსდევს და აյ შემდეგ... მცრამ, სამწუხაროდ, არც 1966 წლის 15 აგვისტოს ღამით მოსულან ცაშე მნიობები იმ მიმდევრობით, რა რიგიც აკთანდილის ამ გალობაშია წარმოდგენილი. და ცკვლევარი ღაუშვებს კიდევ ერთ საყრდენ დებულების, რომელზედაც არა თუ განსახილველ ეპიზოდში, არამედ პოემის მთელ ტექსტშიც კი არავითარი მინიჭნება არაა: აკთანდილის ნიერ მნათობთა დასახელების „რიგი უნდა უქვემდებრებოდეს მათ სიჩარეთა ცვერტის კანონს“ (გვ. 69). ამიტომაც აკთანდილი არა შეეცველრა „მარსის შემდეგ ღამის სამ საათსა და 9 წუთზე“ (გვ. 71) მოსულ წოვარეს, ღაელობა ვენერას გაძოჩენას და მას უგალობა, არც შემდეგ მიაპყრო ყერალება მთვარეს. „ის უცდის მერქურის გამოჩენას ცაშე, მცერად ყურადღების გარეშე ტოვებს მთვარეს და ვენერას შემდეგ მთვარეს კი არა, მერკურს უგალობებდა“ (გვ. 72). ამ მცთოდით აღმოაჩინა მკვლევარმა აკთანდილის გალობაში მნათობთა ის რიგი, რომელიც ტიხო ბრაჟეს მიერ XVII საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული გეო-ჰელიოცენტრული სისტემისათვის არის დანიანისათვებელი. ცოტაურია ვაგვაგრძელდა, მცგვარი საყრდენი პონიციით (პნატერული ნაწარმოების პერსონაჟის მოქმედების ყოველი დეტალის რეალურად, ბუნებაში კანკრეტულად არსებულ ფაქტებზე მიწნევა) შეუა საუკუნეების ეპოსის კვლევა საზოგადოებრივ შეცვლებელია.

მნათობთა მიმართ აკთანდილის ცნობილი ვედრება მზისადმი მიმართვით იწყება. ეს აშვარად ჩინს იქიდან, რომ მნათობთადმი უედრებას აქვს თავისი დასაწყისი, იმის აღმნიშვნელი, რომ ვმირი ზეციურ მნათობთადმი იწყებს შიმართვას (958): „მიმავალი ცაც შესტირს“ და შენდგომ თათო სტროფი ექლვება ყოველ მნათობს, რასაც მოსდევს გმირის მიერ მნათობთა სიმპათიის ასტროლოგიური მოკითხვა და ამდენად ვედრების დასრულებაზე მითითება (965): „აპა, მმოწმობენ ვარსკვლევნი, შეაღნივე მემოწმებიან“.

ამრიგად, მნათობთა ჩამოთვლა ამ გალობის მიხედვით მზით იწყება. როგორც აღნიშვნეთ, ვასში მნათობები მასგარი მინდევრობითაა დალაგებული: მზე, სატურნი, იუპიტერი, მარსი, ვენერა, მერკური, მთვარე. ეს რიგი შეუა საუკუნეებში საზოგადოლ, და კერძოდ, XII საუკუნის საეპითველოში (ი. ერთოთ და შედთა მნათობთავს) — [2], 38,39), ცნობილი რიგია, რომელიც საწყისს ანტიკური ეპოქიდან, კერძოდ, პტოლემაიოსის ასტროლოგიური სისტემიდან იღებს. მხოლოდ მას ახასიათებს ერთი სპეციფიკა: თუ ამ ტრადიციულ მნათობთა რიგში მზეს მეოთხე აღგილი უკავია, რუსთველისეულ ჩამოთვლაში იგი თავშია გადმოტანილი. იმის მიხედვებზე რუსთველოლოგიურ ლეტერატურაში მითითებულია. ამგარად, მკვლევრის კიდევ ერთ საყრდენ დებულებას იმის თაობაზე, რომ „ჰლანეტათა თანმიმდევრული ჩამოთვლის დასაწყისი“ აკთანდილის გალობაში სატურნით იწყება (გვ. 70), პოემის ტექ-

„ა შეუღმისა, ვარსკვლავთა მოსელა ეამგბოლის,
მას ამავესებდის, ილენის, უძრეტას, ილენებოლის“ (839).

ასე რომ, თუ განსახილები ეპიზოდში გმირის მნათობისადმი ფერტების შინა პირობა ამ მნათობის უშუალო ხილვა იყო, ამაზე მითითება პოეტს არ დაავიწყდებოდა.

საწი მხიარუ ას უცემს. მზანდადმი კეთებას მომდევნო სტროფში უშეულოდ ენაცვლება სატურნისადმი (ზულისადმი) კეთება და არავითარებულებრივია ას ჩანს იმაზე, რომ თითქოს აქეზან იწყებოდეს მნათობთა ჩამოთვლა, გამოინდი როგორ მითითება, როგორც უცვე ვთქვით, არის მზანდადმი გალობდა წინ. საზოგადოდ უნდა აღინიშვნოს, რომ „კეთებისტყაოსნის“ სტრილურ სამყაროს თუ არატენციელური, წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისის გარეშე შეგხედვით, შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ, პოემის მიხედვით, მნათობთა ყოველი სტული ჩამოთვლის წინ მზე უნდა იდგეს, რაცდენადაც რუსთველის მიხედვით, მნათობთა დასი „მზის დასია“ (სტრ. 34), ხოლო თვით მზე არის „მნათობთა უმეტესა“ (სტრ. 1201). ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ეფთანდილის გალობის უკანასკნელ სტროფს. მა სტროფში შეიძლება მნათობი კიდევ ერთხელ ჩამოთვლილია, თანც სხვაგვარი თანმიმდევრობით. მაგრამ ამ თანმიმდევრობაში უცალელდაა გატარებული იგივე პრინციპი: მზე მნათობთა სათავეში დგას, მზით იწყება მნათობთა ჩამოთვლა:

„აა, მთემობინ გარსკვლავნი, წვიდნაცე მენოშებიან:
მზე, თტრიდი, მურიარი და ხუალ ჩამოთვლა ჩანდებიან,
მთაგარე, ასპირონ, მარინ მოვდეს და მოწერ მყვებიან,
მას გააგონენ, რანიცა ცაცხლნი უშრეტნა მდებიან“ (963).

ასე რომ, „კეთებისტყაოსნში“ წვიდივე მნათობი ურთიად მხოლოდ ორგზისა ჩამოთვლილი ერთხელ თათოეულ მნათობს თითო სტროფი ეღლენება. მათ შორის პირველი სტროფი მზიადმია განკუთვნილი. მეორედ, შვიდივე მნათობი ერთ სტროფშია დასახლებული და, მიუხედავიდ იმისა, რომ მნათობთა რიგი სტაგვარია, მზე მაინც პირველ ადგილზე დგას. ვეიქრობთ, დასკვნა არ შეიიღება ეჭვს იწვევდეთ. „კეთებისტყაოსნში“ მნათობთა ჩამოთვლა უკელა შენთხვევაში მზით იწყება. და თუ რუსთველისეულ მნათობთა რიგზე ვლაპარაკობთ, ეკურ რიგი უნდა გაყიდევეოთ ბორტის მიერ მნათობთა ჩამოთვლასთან. მნათობთა სხვა არავათრი რიგი პოემაში არ ჩანს.

მისათვის, რომ მნათობთა რიგში მზეს ადგილი მერკურისა და მთვარეს შორის მიეჩინოს, გ. თვეზააცე კიდევ ერთი იხალი პრინციპი შემოაქვს, რომელზედაც აგრეთვე პრაცითარი მითიება არ ჩანს პოემის ტექსტში. მისი აზრით, პოემისეული მნათობთა რიგის დასადგენად სავალდებულო არა, რომ თითოეულ მათვანს ევებრებოდეს ვმირი, საკმარისია მათზე მითითება. 963-ე სტროფში კი მერკურის გარდა მზეც არის ნახსენები: „მზე მაბრუნებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვახა...“. მაშესადამე, მნათობთა რიგში მზის ადგილი შერკურის შემდგენა (გვ. 73). ეს პრინციპი რომ არ გამოდგება ეფთანდილის ცედრებაში მნათობთა რიგის დასადგენად, იქიდნაც ჩანს, რომ მზე დასახელებულია შემდგომ 964-ე სტროფშიც მთვარესთან ერთად:

„მა, მთვარეო, შემიძრალე, ვილევა და წენებრ ეწვლება,
მზე ვამაღებს, მზეუე გამლევა, ჟოგერ უსხვებდ, ზოგვენ
ეწვლება“.

გამოვის, რომ ამ რიგში მზეს ორი ადგილი პჭონია: ერთი — მერკურის შემდეგ კი მთვარის შემდეგ. ამით ვეღარ მოვიღებოთ ტიხო ბრძენს სისტრემისეულ რიგში ამ ვარემოებას მკვლევარი სათმანადო ყურადღებას არ აქციებს, რაზედაც მიუთოეს კიდევ ([10], გვ. 173). ილბათ ციქრობს, რომ ამის ჟაფუძველს მას აძლევს რუსთველისეული მნათობთა რიგის დასაღენად



მის მიერ მომარჯვებული კადევ ერთი პრინციპი, რომელზედაც ასევე არავითარი მინიშნება არა „უცფხისტყაოსნის“ ტექსტში: თუ მნათობისაუცხოული ქერაა მიმართვა, მაშაადამე, ამ აღვილას პლანეტათა თანმიმდევრულ ჩამოთვლას დღილი არა აქვს (გვ. 70).

ამავ კი იმას დაუვაკირდეთ, თუ როგორ დამტკაცა მკვლევარმა, რომ, რესოუელის აზრით, სატურნი, იუპიტერი და მარსი მზის ირგვლივ ბრუნევენ, ხოლო მთვარე და დედამიწა კი არა. იგი ეყრდნობა თვეისსავე მცნებას: „უცფხისტყაოსნის“ მიხედვით მერკური და ვენერა მზის ირგვლივ ბრუნევენ. ამავ დროს ხედის, რომ, რესოუელის აზრით, მზე მნათობთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, იგი მათზე მოქმედებს. მკვლევარი ფიქრობს, რომ მზის ეს მოქმედება დასახლებული საძი მნათობისადმი ისეთივე უნდა იყოს, როგორც ეს მისი ქმედება მერკურისა და ვენერასადმი და ასევნის: „ესმდა ეს მოსახრება, ვფიქრობთ, საყმაოდ შძლაცრ არკუმენტს წარმოადგენს, რათა ვირწმუნოთ, რომ, რესოუელის აზრით, ისე, როგორც მერკური და ვენერა, მძრისი, იუპიტერი და სატურნიც მზის გარშემო უნდა მოძრაობდენ“ (გვ. 93). ისე დამტკიცდა, რომ რესოუელმა 400 წლით ადრე კოპერნიკიმდე დამოაჩინა ხუთი მნათობის მზის ირგვლივ მოძრაობა. ისმის კითხვა: რატომ უარყოფს ავტორი დედამიწისა და მთვარის მოძრაობას მზის ირგვლივ? მკვლევარი ცრთი მხრივ ეყმარება პოემის სტრიუებს, რომლებშიც მზე დახასიათებულია როგორც „უმძლევთა მძლეთა ძძლე“ (958), „მნათობთა მამაგრობელი“ (1448); პოეტის სიტყვებს, რომ მზეს მორჩილებს „ზეციერი ჩნათობი, რაცა სადა“ (136) და, აქედან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ ეს მნათობები მზის ირგვლივ ბრუნავენ. მაგრამ, ამავე დროს, თვლის, რომ ყველა ცოური სხეული არ წედის იმ მნათობებში, რომლებიც მზეს ემორჩილება. ივი წერს: „უცფხისტყაოსნისაზე“ ისეთ სხეულად, რომელზედაც მზის გავლენა არ არის ნაკვლისმევი, დედამიწაა მიჩნეული. მართლაც, ნოელ ტექსტში არსებ არ არის მოცემული ისეთი გამოთქმა, რომელიც მიგვანიშნებდეს ქვეყნის ცენტრში მდებარე დედამიწაზე მზის მაგიური ძლის კავლენას.... პოემის მიხევვით, მზის „მძლეთა მძლეობა“ მთვარეზეც არ გრცელდება. მთვარის მოძრაობა, მისი უაზების წარმოქნა, ასტროლოგი სურათები პოემაში ინგვარალა აღწერილია, რომ ვერსად ვერ ნაავთ ისეთ გამოთქმას, რომელიც ნიუთიუბდეს მზის „ძძლეთა მძლეობას“ მთვარის ყოფაზე, მის მიმოქცევაზე“ (გვ. 89). მკვლევრის ეს კატეგორიული განცხადება „უცფხისტყაოსნის“ ტექსტით არ მტკიცდება. პირიქით, პოემაში მზის გვლენა მითითებულია ზოგადად ცეცხლა მნათობის მიმართ:

„ცეცხლაც ჰყალა: „აქა, მშეო, ლმერთმან რათენ მშედ დაგბალა,
მთ გმორჩილობს, ზეციერი მნათობი რაცა სადა“ (136).

ხოლო კონკრეტულიც — მხოლოდ მერკურის და მასთან ერთად დედამიწისა და მთვარის მიმართ: მზის გავლენის შენიშვნა ჩვენი პლანეტის ცხოვრებაზე, ვერეტობთ, მზის დედამიწაზე მოქმედების აღიარებაა:

„თუ ერთია მოშორება მზისა ზამთრის გაგვამიცევება“... (957)

„ვარდა ვერ არის უმშეოდ; იყოს, დაწყებს კნობასა“... (837).

მზის მთვარეზე მოქმედები კი პოემაში უშუალოდა მითითებული (კერძოდ, ღნიძნულია მზის გავლენა სწორედ მთვარის ფაზების წარმოქმნაზე):



„მო, მთვარეო, შემიბრალე, კილუე და შენებრ ვტელდები;

შეს გამავსებს, შესევ გამლექს, ზოგჯერ კსხვდები, ზოგჯერ გშალდებრ მურალები გამართება”

ასევე თავისებურია მცველევრის ლოგიკა რუსთველის პოემის მიხედვით შეის ირგვლივ ვენერას მოძრაობის დამტკიცებისას: ვენერასა და მერქურს სივრცეში მსგავსი განლაგება გააჩნიათ. რუსთველმა დასხასითა ერთი მათგანის, მერქურის, მოძრაობა (იგი მოძრაობს მზის ირგვლივ), მაშასდამე, იგი აღიარებს. მეორეს, ვენერას, მოძრაობასაც მზის მიმართ. მცვლევარი ლომ ეძიებს იმას, მითითავ ბული თუ არა „ვე ფისტყაოს ან შეა”, რომ მერქურსა და ვენერას ზეციურ თაღზე ერთმანეთის მსგავსი განლაგება აქვთ. ამ ფაქტის კონსტატირების გარეშე კი მცვლევრის მსჯელობა ლოგოტურ ძალის კარგის. უფრო მეტიც „ვეფხისტყაოსანში” ისა მინიშნებული, რომ ზეციურ თაღზე მერქურის მსგავსი პოზიცია და მოძრაობა არც ერთ სხვა პლანეტას (ე. ი. მათ შორის ვენერასაც) არ იხსიათებს:

„ოტარიდო, შენგან კიდე არეის მიგავს საჭმე სხვასა:

შეს მაბრუნვებს, არ გამიშევას, შემიყრის და მიმცემს

წვასა... (953)

ეს გარემოება მცვლევარს, როგორც ჩანს, ერთგვარად აფიქტებს და გამოსავილს ეძიებს. ფიქტობს, რომ ეს სხვა მნათობები, რომლებსაც ოტარიდის მოქმედება არ ჰგავს, უნდა იყოს, არა მნათობები, რომლებსაც მიმართავს და ეცელდება ავთანდილი, არამედ კუტრავი” ვარსკვლავები, რომლებსაც მზე მართლაც არ აბრუნებს (გვ. 56). არც ამგვარ ვარაუდზე იძლევა „ვეფხისტყაოსნის” ტექსტი არავითარ მინიშნებას.

ასე რომ, რუსთველის პოემაში გეო-ჰელიოცენტრული სისტემა არ ჩანს.

დაუბრუნდეთ ისევ ოტარიდისა და მზის ურთიერთობას. როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსანში” არ ჩანს არც ჰელიოცენტრული და არც გეო-ჰელიოცენტრული სისტემა. პოეტის წარმოდგენები ზეციურ სამყაროზე უბირატესად თავსდება იმზროინდელ საქართველოში და საზოგადოდ მსოფლიოში აღიარებული გეოცენტრული შეხედულებების ფარგლებში. ხომ არ ნიშნავს ეს გარემოება იმას, რომ პოეტი არ შეეძლო დაეშვა მზის ირგვლივ მერქურის მოძრაობის შესაძლებლობა? ფიქტობთ, რომ არა საქმე ისაა, რომ ჰელიოცენტრული შეხედულებანი კაცობრიობისათვის ცნობილია უძველესი დროიდან. როგორც რუსთველოლოგიურ ლიტერატურაშია მითითებული, ჰელიოცენტრულ იდეებს ზოგჯერ პრიმატული, ზოგჯერ უფრო მეტად დაწერებული ფორმით ქადაგებდნენ ჩვენს ერამდე V საუკუნეში პითაგორელი ფილოლოსი, ჰერაკლიტე (IV ს. ძვ. წ.), ხეკტასი, არისტარქე, არქიმედე (III ს. ძვ. წ.). და სხვები. იგვევ შეხედულებებს იზიარებდნენ შედარებით უფრო ახალი დროის მოლვაწენიც: მარცანუს კაბელა (V ს. ჩვ. წ.), აბურეიპნ ბირუნი (X ს. ჩვ. წ.) და სხვები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. თევზაბის მონოგრაფიაში მოყვანილი ფაქტები: მერქურისა და ვენერას მზის ირგვლივ მოძრაობის იდეა აღიარებული იყო ძველ ეგვიპტეში; ამავე აზრს იზიარებდა ჩვ. წ.-მდე IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსი ჰერაკლიტი ([5], 125). ამდენად, უცნაური და მოულოდნელი არ არის, რომ რუსთველს მზატერული სახის შესაქმნელად გამოყენებინა მერქურის მზის ირგვლივ ბრუნების სურათი. ამავე დროს, რუსთველის მიერ ამ ფაქტის მოხსენიება არ ნიშნავს იმას, რომ რუსთველმა კოპერნიკზე საუკუნეებით აღრე მიაგნო ჰელიოცენტრულ სისტემას. ჰელიოცენტრული სისტემის შემქმნელად

არ ცხადდება ორც ფილოლაოსი ან ჰერაკლიტე, არქიმედე ან არისტიარქე, საჭირო ისაა, რომ ამა თუ იმ შეცნევრული თეორიის შემქმნელად სისოგაფრთხოებისა ვღება ის მოაზროვნე, ვის მიერაც ეს თეორია არის შეცნიერულად დასაბუთებული და არა მხოლოდ აღიარებული ან პიპოთეტურად დასმული.

სატრფოს ცეცხლით დამწვარი მიჯნერის მზის ირგვლივ ბბრუნვა პლანეტურთან შედარება ხატოვინი აზროვნების ისტორიითც მისაღებია. სპარსულ ეპიკაში მიჯნურის კლასიკურ სახედ ითვლება სინთელზე გამიჯნურებული ჟეპელა, რომელიც დღენიდან სინთლის ირგვლივ დაფრინავს, ბოლოს კი მის ცეცხლში ჩაესვება და დაიწვება. ეს თემა ძველ ქართულ ლიტერატურაშიც შემოვიდა (თემურაშ პირველის „შამგარვანიანი“). ორც რუსთველის ეპოქისათვის უნდა ყოფილიყო ამგვარი მიჯნურის სახე უცხო. „თამარიანში“ შეტანილია სათავეგადსავლ ფრაგმენტი (ზოგიერთი შეკვერცხი აზრით, იგი გვიანდელი ჩანართია): თამართე გაძიჯნურებული მოყმე-პოეტი უცხოეთში გადაიხვეწება. მოგზაურობს საქართველოს ირგვლივ, ბოლოს თავისი მწველი სატრფოსკენ წამოვა, მცერაშ მიუახლოვდება რა საქართველოს, უგზოუკვლიდ გადაიკირგება; აქაც სატრფოს ირგვლივ მბრუნვაი და ბოლოს მის ცეცხლში დამწვარი მიჯნურის სახე იხატება. და მაიც, სანამ დავისკვნიდეთ, რომ რუსთველი მიუთითებს მერკურის მზის ირგვლივ ბრუნვის ფაქტზე, ვფიქრობთ, საჭიროა შესაბამისი კონტექსტის დეტალური განხილვა. ავთანდილის პირით წარმოთქმული ოტარიდის ანუ მერკურის მოძრაობის ამსახველი სიტყვები „მზე მაბრუნვებს“ — მკვლევრებს სხვადასხვავებად ესმით.

გ. თევზაბის აზრით, ამ სტროფში სიტყვა „მაბრუნვებს“ ცულისხმობს წრიული სახის მოძრაობას, რამდენადაც ზეციურ სხეულთა მოძრაობა რომ წრიული იყო, ეს ერთხმად იყო ილიარებული უძველესი დროის მოაზროვნეთა მიერ. თანაც მერკურის მოძრაობა, რუსთველის აზრით, წინააღმდეგ პტოლემაიონის თვალსაზრისისა, მზის ირგვლივ უნდა ხდებოდეს. ამის საბუთად მევლევარს ის მიაჩნია, რომ ამავე სტროფში ჩანს მზის ზემოქმედება პლანეტაზე (გვ. 54—55). მკვლევრის აზრით, აქევ ჩანს, რომ მერკურის მზის ირგვლივ ბრუნვა არის მერკურის ინერციის ძალით სწორხაზოვანი მოძრაობის შერწყმა მზის მიზიდულობის მოქმედებასთან; რამდენადაც „არ ვამიშვებს“ გამოთქმაში მინიშნებულია; რომ პლანეტას გააჩნია უნარი, გაეძლის შეს. ეს კი პლანეტის ინერციულობის თვისებაა. მზე მერკურის თავისი მოქმედებით მხოლოდ მის გარშემო „მაბრუნვებს“. ეს „ბრუნვა“ კი, მკვლევარის დასკვნით, არის „პლანეტის წრიული მოძრაობა“, უფრო ზუსტად „მრუდწრიული მოძრაობა“ მზის ირგვლივ (გვ. 55, 132). როდესაც მკვლევარს მიუთავს, რომ „ვეუხისტყაოსანში“ სიტყვა ბრუნვა თუ ზოგჯერ მართლაც წრიულ მოძრაობას ნიშნავს, სხვა შემთხვევაში მიმართულების შეცვლას გულისხმობს ([8], 187), გ. თევზაბე დააზუსტა თავისი წარმოდგენა ოტარიდის ბრუნვაზე: „პლანეტა ინერციის ძალით განუწვევეტლივ მიისწრავს. სწორხაზოვანი გზით დაშორდეს მზეს; ასე ვთქვათ, „გაეძლის“ მას; მაგრამ მზე თავის მხრივ მიზიდულობის გამ „იძერს“, არ უშვებს მას, უანაბრუნებს, მუდამ ერთსა და იმავე R მანძილზე ამყოფებს. ამიტომ პლანეტა მ თრი ძალის ტოლი ქმედების გავლენით იწყებს მზის ირგვლივ ელიპსურ თუ წრიულ მოძრაობას“ ([5], II გამოცემა, გვ. 77). ამ მსჯელობიდან ჩანს, რომ გ. თევზაბე, რუსთველის სიტყვებში „მაბრუნვებს“ და „არ ვამიშვებს“ ხედას ნიუტონის მიერ აღმოჩენილ პლანეტათა მზის ირგვლივ მოძრაობის ასნას; ინერციის ძალისა და მიზიდულობის ძალის ურთიერთქმედების შე-

დეგს. მაგრამ მცვლევარი ამ შემთხვევაშიც არ ქცევს ყურადღებას იმის, რაც
არსებითაა: პიემის ტექსტში არ არის არავითარი მითითება იმაზე რამაც და
მოთქმდა „არ გამიშვებს“ გულისხმობს პლანეტის მოძრაობას მარტინის მიერთებული
ინკრიტიკის ძალით, რომ „მაბრუნვებს“ უკან დაბრუნებას გარ-
კვეშ ულ მანძილზე, ანუ დაჭრის ერთა და იმავე მანძილზე, რომელი
დაშორებითაც იყო ბრუნავს მზის გარშემო.

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში სხვაგვარადაც არის ასენილი ოტა-
რიდის ეს მოძრაობა. ფიქრობენ, რომ სიტუაცი „მზე მაბრუნვებს, არ გამი-
შვებს“, იმას ხაშავს, რომ მზე ოტარილს თავისთან ერთად აბრუნებს. ე. ი.
შეეს ატრანდი მაპყავს იმ გზით, რა გზითაც თვითონ მიღის, არ ვაუშვებს ამ
უზილაძ. განსახილევლი გმოთქმის ეს ასწაც უაღრესებ სუბიექტური და
პიპოთეტურია. სინამდვილეში ვეთანდილის სიტყვებს „მზე მაბრუნვებს“ აღა
ახლავს დაწუსტება თავის თან ერთად.

როგორ მოძრაობაზე მიუთითებს რუსთველისეული „მაბრუნვებს“?

„აბრუნებს“ აწყვე მწყრივის საზიარო ფორმა შრივალი ზმნური ერთეუ-
ლისათვის: აბრუნებს (ირგვლივ ატრიალებს, წასკვილს აბრუნებს), დაბ-
რუნებს (უკან მიიყვანს, უკან აბრუნებს), მოაბრუნებს (გამოაგეობს, გელ-
შელონებულს აბრუნებს), გადააბრუნებს (წეაჭყავს, გვერდზე აბრუნებს);
გააბრუნებს (უკან გაისტუმრებს, უკან აბრუნებს) (იხ. [12]). ამ მნიშვნე-
ლობათაგან თითქმის ყველა დამახასიათებელი იყო „აბრუნებს“ ზმნისათვის
ძველ ქართულ შიც. სელან-საბა: ლექსიკონის მიხედვით, „აბრუნვა“ „ქუ-
ება“ ნიშნავს და იყი სხვადასხვა ნიუანსის შეცველა: აბრუნე (ზე შეაქციე-
გინა დაატრიალე), გააბრუნე (გარე შეაქციე), დააბრუნე (უკან აქციე);
უბრუნებდი (გვერდს ვაქცევდი). „აბრუნ-ავ“ ძირისათვის ნაწილმოები ზმნ-
ბისათვის მითითებულ მნიშვნელობათაგან „ვეფხისტყაოსანში“ სულ ცოტა
სამი მინც დასტურდება.

ყველაზე ხშირად ამ ძირის ზმნები პოემაში გვხვდება უკან ქცევის,
უკან დაბრუნების მნიშვნელობით. მაგალითად: ჰილდადელი ვაჭ-
რები მეყობრეთა შიშით ზღვაში ვერ შედიან, უკან დაბრუნებაც ვერ გადა-
უწყვეტით და აფთანდილს ასე შესჩივათ:

„დაბრუნვებითა გვიცხოს ზიანი არ-საზომისა“ (1034).

ცრილონი ასე უცვება ტარიელს პიმშეილების ღალატისა და ზღვაში
ომის ამბავს:

„მომეკარენეს, ველია ქმერ, ნავით ცხენი გარდვიხლტურე,
ზღვა-ქლვა ცურებით წოვოუნე, ჩემი მშერეტი გადაცბუნე;
თან-მყოლნი ჯველაკანი დამინოცნე, დამრჩეს მუნვა,
გინცა მჟევდის, ვერ ჟღმონების, მიუბრუნდი, მიუაბრუნე“ (610).

უცხო ყმის საძებრად წასული ავთანდილი ასე უბარებს შერმაღინს:

„ლაშერობა და ნადირობა შენ ჩემა დაასახე,
აქეთ სამ წელ მომილად, ხეაშიალი შემანახე,
მე წუთუმცა უკონკრიტულ და, ლეა ჩემი არ დაჭნა ხე,
არ მოვბრუნდე, მომიგლოე, მიტირე და მიცაგლახე“ (158).

ამ ფუძიღან ნაწარმოებ ზენათა ერთ ნაწილს „ვეფხისტყაოსანში“ შეატყიარება, შეერდის შეცვლის, შემობრუნების მნიშვნელობა აქვს. მაგალითულად შემატებულია

„რა მოგრძელდა ქალი ჩემკე, შემოადგას სხივი კლდეს“ (1132).

ფატმანი ასე აცნობებს ნესტანს მეფის ბრძანებას:

„ცა მოგრძელდა რისკით ჩემკე, იავაჩ-მყო, ამცხვრა სრულად,
შემატინებს, მევი გათხოვს, ვის აზისთვის გულ-მოკლულად“
(1174).

რამდენიმე შემთხვევაში ჩანს, რომ „ბრუნ-ავ“ ძირისაგან ნაწარმოები ზმები „ვეფხისტყაოსანში“ ირგვლივ დაბრუნების, ტრიალის მნიშვნელობითაც იმარება:

„კაცი ჩემგან შენატყორცი, ბრუნ-ავ, ვითა ტანიორი“ (450).
„ეა, სოუელო, რა ჟიგან ხარ, რა გვაბრუნვებ, რა ზე
გვჭირსა!“ (952).

თუ რა მნიშვნელობა აქვს ოტარიდისა და მზის ურთიერთობის ასახვისას სიტყვას „მაბრუნვებ“, უნდა გაირკვეს შესაბამისი კონტექსტის ანალიზით: „მხე მაბრუნვებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა“. „მაბრუნვებს“ ფორმის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში ზუსტდება მომდევნო ზმებით. მზე ოტარიდა აბრუნვებს, არ გაუშვებს, მზისგან არ გაშვება ნიშნავს მზის განაც მიმავალის (და არა თავისთვის სივრცეში მოძრავის) უკან დაბრუნებას ან შეჩერებას. „ბრუნ-ავ“ ძირს კი შეჩერების მნიშვნელობა არა აქვს. ქედის გამომდინარე, „მხე მაბრუნვებს, არ გამიშვებს“ მიუთითებს მზის ძალით, მოქმედებით ოტარიდის უკან, მზისაცენ დაბრუნებაზე, მიქცევაზე. ამ გაგებას უეჭველა ხდის სტრიქონის მეორე ნახევარი „შემიყრის და მიმცემს წვასა“. „შემიყრის“ სათავისო ქცევის ზმნა და ნიშნავს შემთხვედრებს, შემიერთებს — ის (მხე), მე (ავთანდილს ანუ ოტარიდს). ე. ი. მზე უკან მობრუნებულ ოტარიდს რაიმე განსაზღვრულ მანძილზე კა არ გააჩერებს, არამედ თავისთან ბოლომდე დაბრუნებს, „შეიყრის“, ანუ შეიერთებს და „მისცემს წვასა“. პოეტის მზატვრული სახე „მიმცემს წვასა“ მზესთან მიაბლებული ოტარიდის თანდათან გაუჩინარების გამომხატველია. ეს გაუჩინარება ასტრიონმიულად მაშინ ხდება, როცა პლანეტა მზის ირგვლივ მოძრაობით დედამიწიდან მჩეზე გამავალ სწორ ხაზს უახლოვდება, ანუ როცა „პლანეტა მზეს და დედამიწის შორის მოექცევა, ანდა ჩევნს პირდაპირ მზის იქთ ჩამოღება“ ([6], 174); მაგრამ რუსთველის პოეტურ სახეში გაუჩინარების ეს მიზეზი არ ჩანს. უფრო მეტიც, ამ პოეტურ სახეში ძალა მინიშნებული, რომ ოტარიდის გაუჩინარება მისი უშუალოდ მზესთან მისვლითა და მისი დაწვითაა გამოწვეული. რა თქმა უნდა, მზესთან შეყრილი ოტარიდი უნდა დაიწვას და ამდენად გაუჩინარდეს და არა „აგიზგიზდეს და აკაშკაშდეს“ (შდრ. [6], 176). ამას მხატვრული სახის სპეციული განაპირობებას: სატრიოს ცეცხლში ჩავარდნილი მიჯნური დაიწვება და დაიფერცხულება, ისე როგორც პეპელი სანთლის აღში (შამისა და ფარვანის სიმბოლიკა). მაშესადამე, მზისაცნ წასულ ოტარიდს მზეუე აბრუნებს უკან („მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს“), თავისთან მიიყვანს („შემიყრის“) და თავისსავე ცეცხლში წვასა“).

ისმის კითხვა: ოტარიდისა და მზის ამ სტრიფში წარმოდგენილ ურთოების აქცის თუ არა ასტრონომიული ან ასტროლოგიური საფუძველების ურთოება

რუსთველის მიერ დახატულ მერკერისა და მზის მიმართებული აუცილებელი მიული საფუძველი გაიჩნია და იგი წარმოადგენს მერკერის (ოტარიდი) მზის ირგვლივ ბრუნვის მნათობთა ზეციურ თაღზე აღქმულ მთაბეჭდილება, ხილულ სურათს. თუმცა ეს სურათი ცაშე უშუალოდ, ერთი ღამის განხილვით ბაზი არ იხილვება. იგი ცერკურის მოძრაობაზე ხინგრძლივი დაკავირვებითა და მერკურის მზისადნი მიმართების სქემით შეიცნობა. მერკური მზეს წლის გარკვეულ ჰერიონში დედამიწიდან დამკვრცებლის თვალში თითქოსდა პირვერი სცლის შორდება თავდაპირველად ერთი მიმართულებით, დამოსავლეთით (ამ დროს იგი დასავლეთის ცაშე ჩას მზის ჩასვლის შემდეგ). თანდა-თანმიმდევ მისი სცლის სისწრაფე მცირდება (ამ დროს მერკური შემოწერის რყალს თავისი ორბიტის იმ ნაწილში, რომელიც დედამიწისაგან დამკვირვებლის თვალში მისი სცლის მიმართულებას შეცვლის) და ერთხეს იგი თოვებს შეხერდება კიდეც. შემდეგ მერკური ბრუნვება უკან, თითქოსდა იწყება უსცელას მზისკენ. უახლოვდება რა მზეს, იგი თონდათან ფერმერთალდება და ილვე, ქრება, მზის სხივებში აღარ ჩას. გარკვეული დროს შემდეგ მერკური მზის მორჩე მხარეს ვადანაცვლებს და ამჯერიდ მოძრაობს საბირისბირო, დასავლეთის მიმართულებით (ამ დროს იგი მზის ამოსვლამდე გამოჩნდება აღმოსავლეთის ცაშე). ისევ შეანელებს მოძრაობას, უკან, მზისაკენ დაბრუნდება, იწყებს ისევ თითქოს პირდაპირ სცლას. მიუხელოვდება მზეს, გაფერმკრთალდება და ვაჭრება. მთელ ამ ციკლს მერკური წელიწადში სამჯერ გამეორებს. აი, სწორედ მერკურის მოძრაობის ხილული სურათიდან მიღებული ეს ჰითბეჭდილება არის რუსთველის მიერ მზატერულ სახედ ქცეული: მერკურის მზისაგან გაქცევა, მზის მიერ მისი უკან დაბრუნება, მზესთან მისი შეერთება და ვერტოგა ანუ დაწევა.

მერკურის მზის მიმართ პოზიციის ცელის ეს სურათი. რა თქმა უნდა, შედეგია მერკურის მზის ირგვლივ მოძრაობისა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ რუსთველი მხოლოდ ამ შედეგს იყენებს მზატერული სახის შესაქმნელიდ და მის გამოწვევე მინეზზე არაფერს მიბოსტს.

არც იმ ძილის რაობაზე ნიუთითებს პოეტი, რომლითაც ოტარიდი შორდება მზეს, ბოლო ეს უკანასკნელი არ უშევებს მას, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოეტი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა ძალათ ხდება ზეციურ მნათობთა მოძრაობა. თუ ამ ძალაზე პოეტის თვალსაზრისის ამოცნობას ანალოგიურით შევაცდებათ, „კვეფისტუაოსანში“ არსებული მინიშნებების მიხედვათ, ანალოგია უნდა გაკეთდეს არა ნიუტონის შეირცხული ფიქსირებული ინერციისა და მაზიდულობის ძალების ურთიერთებულებასთან, არამედ დანტეს მიერ პლანეტათა მამოძრავებლად იღარებულ სიყვარულის ძალისთან. საჭმე ის არას, რომ რუსთველი მზისა და ოტარიდის ურთიერთობა ამსგავსებს თავის მიმართებას სატრაცოსთან, რის საფუძველიც სიყვარულია. დანტე ალიგორიზაც პლანეტათა მამოძრავებელ ძალად სიყვარული აღარა ([11], 168). ზეცის უმაღლეს სატრაცელში, სამზი თანასწორი და სხვადასხვაფერი წრის საბათ ხილული სამების სახებასთან ამაღლებული დანტე სულიერი დაძაბულობის უმაღლეს ზღვის ზეცის ხილულს. უკანასკნელი შეგრძნება ანუ ფინალური ინტუიცია კი იმას მიანიშნებს, რომ მის ნებისყოფამა და მისწრაფებას უკვე აბრუნებს სიყვარული, რომელიც მოძრავებს მზეს და პლანეტებს;



„და როგორც ბორბალი მოძრაობს წყნარად, რყევის გარეშე,

ას ჩემს ნებასა და სურველს უკე ახრენებდა სიყვარული:

სიყვარული, რომელიც მოძრავებს მზესა და ახვა ვარსკვლავებს“¹

(„სამოთხე“, XXXIII, 143—145).

ძელი საქმეელია, რუსთველის ამ მხატვრული სახის სიმბოლიკას აღმოსავლერი და დასავლეური ლიტერატურის მიზნურთმეტყველებაში უშუალო პარალელი მოვლენები, თუ არა. როგორც ზემოთ მივუთითებდით, ჩვენ ამ პოეტურმა სახემ პეპელისა და სანთლის საძიგნურო სიტოლიკა მოვდავონა. ამ პარალელიდან გამომდინარე, რუსთველის მხატვრულ სახეშიც უფრო მოსალოდნელი იყო ოტარიდის სწორედ მზის ირგვლივ ბრუნვაზე ყოფილიყო საუბარი. რამდენიმდევ ავთანდილი ოტარიდის ხვედრს საკუთარს ამსგავსებს, იმაზე დაკვირვებაცაა საქირო, თავისი უსასრულო მოგზაურობებისას ავთანდილი გეოგრაფიულად ხომ არ პრუნვეს მისი მზის — თინათინის ირგვლივ დახსლოებით ისე, როგორც ეს „თამარიანშია“ დახატული: თამარზე შეყვარებული მოყმე მოგზაურობს საქართველოს ირგვლივ? ავთანდილის მგვარი მარშრუტი „ვეფხისტყოსანში“ არ ჩანს. მაგრამ თინათინზე შეყვარებული ავთანდილის მოგზაურობათა უამს ჩანს სწორედ იმგვარი „შრიალი“ გმირისა, რომელსაც ხედავ ივი „მზეზე გამიზნურებული“ ოტარიდის გაქცევასა და დაბრუნებაში. უცხო მოყმის სიძენეელედ ან ტარიელის დასახმარებლად არაბეთიდან წასული ავთანდილი გონების თვალით დღენიადაგ თავის მზეს — თინათინის ჭრეტეს. მწე-თინათინი კი სიყვარულის დადამ ძლით თავისებნ იზიდავს გმირს. მოყმე გონების თვალს ვერ იცილებს ამ სიყვარულის მზეს: მასზე ფიქრობს, მას უჭრეტეს და როგორც კი მის მზერს მოსცილდება, ცნობასაც კარგავს. ამიტომაც მზე-თინათინიდან განშორებად მიმავალი ავთანდილი უკან იხელებოდა, მწე-სატრფოს ცქერს ექებდა:

„ყმა წავიდა, სიშორება თუკა ჩისა ვერ ვასტლებდა,

უაუ ღმია ინე დ ვ ი დ ა ოვალთა რეტად იყოლებდა“... (139).

რუსთველოგიურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ საზოგადოდ განშორებისას უკან მოხედვა მხატვრული ხერხია, რომელიც გვევდება ბიბლიაშიც, მითოლოგიაშიც და უძველეს ლიტერატურულ ძეგლებშიც, მაგრამ ავთანდილი არა მარტო უკან იხედება თავისი სატრფო მზისაკენ, არამედ უკანაც ბრუნდება მისკენ ([11], 167).

სატრფოს მოშორების ტანჯვის დათმენა რომ შეძლოს, ავთანდილი ზოგჯერ ჩერდება, უკან ბრუნდება მისი მზე-თინათინისაკენ და შემდეგ ისევ ავრეძლებს გზას მისგან გასაშორებლად და ასე გრძელდება მიწყივ...

„წაზ-წაზ ზოგრენდეს, იაჭდის მისთვის მზისვე მხობას,

უმეტესის, თვალი ვერ მოჰქმნის, თუ მოჰქმნის, მისხდის.

ცნობასა“ (833).

„ზოგჯერ დაბრუნდის, იმპრეტის ლონედ პატიჟა თმენისად, რა გვმართას, არ იცის, მას თუ არბევდის ცხენი სად“ (834).

დავუბრუნდეთ ისევ ოტარიდის ბრუნვებს მზის ირგვლივ. საიდან უნდა ჰქონდა რუსთველს მერქურის ზეციურ თაღზე პოზიციის ცვლაზე ასე სწო-

¹ Yet, as a wheel moves smoothly, free from jars,

My will and my desire were turned by love,

The Love that moves the sun and the other stars“ ([13], 347).

რა, მართებული წარმოდგენა? როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს ამგვარი წარმოდგენის შექმნა შეიძლებოდა მერკურის მოძრაობაზე და მარტინ ასტრიონიმიული დაკვირვებით, თუმცა ეს დაკვირვება უნდა ყოფილიყო ხას-გრძლივი და სისტემური. უფრო სარწმუნოდ უნდა ჩივთვალოთ, რომ რუს-თველის ეს მხატვრული ხატი შექმნილია იმდროინდელი ასტრიონიმიული და ასტროლოგიური ცოდნის საფუძველზე, რამდენადც მერკურის მოძრაობის თავისებურებები იმ ღრაისათვის უკვე ცნობილი იყო. როგორც რუსთველო-ლოგიურ ლიტერატურაშია მითითებული, სწორედ მერკური (ცენტრალური ერთად) იყო ის პლანეტა, რომლის მზის ირგვლივ მოძრაობა ჯერ კადევ ძველ ეგვიპტეში შენიშნეს. მერკურის მოძრაობა სწორედ შეცენო ძველ სა-ბერძნეთში ჰერიკლიტემ და მას თვით პტოლემაიონიც ითვალისწინებდა ([9], 52). აქედან კი მერკურის მოძრაობის მთელი თავისებურებანი შევიდა ასტრო-ლოგიურ საკითხავებში. იგი ასტროლოგიურ ცოდნად იქცა. ასტროლოგიური ნიშნით ოტარიდი მწერალია, მწიგნობარია. სწორედ იმგვარად პერსონიფიცი-რებული ჩანს იგი სპარსულ მწერლობაში (გურგანის „ვისრემიანი“; სადაც „ბუსთანი“). სუვე დახატა იგი რუსთველმა ავთანდილის გალობაში მნათობთა მიმართ. კალმად ნესტანის თმასავთ წვრილი ტანი მისცა, მელნად საკუთარ ცრუმლთა ტბა შესთავაზა და თავის ჭირთა აღწერა შეავედრა:

„ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხეასა: მზე მაბრუნებს, არ გამიშვებს, წემიყრის და მიმცემს წევსა; დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრუმლთა ტბასა, კალმად გავავთ გაწლობილსა ტანსა, წვრილსა კითა მისასა.“

მითითებული და მითითებული მითები

1. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966 (ა. შინდისა და ა. ბარაშიძის რე-დაქციით).
2. „ეტლთა და შედეთა მნითობთათვს“ (ასტროლოგიური თხზულება XII საუკუნისა, აკად. შანი ი ძის გამოცემა), თბ., 1975.
3. ჭ. ჭ. ნ. ტ. უ. რ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, მელნიცერტრიზმის ნიუნები „ვეფხისტყაოსანი“: „სახალხო განათლება“ 1955, 7.XII (№ 49).
4. რ. ი. ვ. ა. რ. ა. კ. კ, ძელთამებელი ცოდნა და რუსთველის ჰელიოცენტრიზმი: „ლიტერატურულა წერილები“, თბ., 1964.
5. ვ. ე. ვ. ზ. ა. ძ. კ, რუსთაველის კოსმოლოგია, თბ., 1979 (მეორე გვერცემა, თბ., 1984).
6. ბ. თ. ე. ვ. ა. ძ. კ, პასური შეინშენების ეტორებს წიგნზე „რუსთაველის კოსმოლოგია“; „მნათობი“, 1981, № 1.
7. გ. ა. ნ. ჭ. ი. ძ. კ, ახალი სიტყვა რუსთველოლოგიაში (წესვალი გ. თეეზაძის წიგნზე „რუს-თველის კოსმოლოგია“, თბ. 1979, გვ. 3—11).
8. ბ. ი. მ. ნ. ა. ძ. კ, ოტარიდის „ბრუნე“ და მისი ინტერპრეტაცია: „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, 1980, № 2.
9. ბ. ი. მ. ნ. ა. ძ. კ, ცოდნილთა რიგი ავთანდილის სიმღრრაში: „მეცნიერება და ტექნიკა“, 1977, № 7.
10. ბ. ი. მ. ნ. ა. ძ. კ, ასტრიონიმიული მოცულენები „ვეფხისტყაოსანი“: „მნათობი“, 1979, № 6.
11. რ. პ. ა. რ. ა. ძ. კ, მხატვრული მზე „ვეფხისტყაოსანი“: „მნათობი“, 1982, № 9.
12. „ქრისტიანული ენის განმარტვებით ლექსიკონი“, ტ. 1 (ა. ჩიქობავის რედაციით), თბ., 1950.
13. Dante, The Divine Comedy, 3, Paradise, G. B., 1962.



Э. Г. ХИНТИБИДЗЕ

ОБ ИНТЕРПРЕТАЦИИ ОДНОГО ХУДОЖЕСТВЕННОГО ОБРАЗА «ВЕПХИСТКАЛОСАНИ»

Резюме

Герой поэмы Руставели Автандил, влюбленный в царицу Тинатин, сравнивает свою судьбу с судьбой планеты Меркурий (Отарид):

„О, Старид, кроме тебя моя участь ни с кем не сходна, Солнце ве-ртит мною, не отпускает, встретив, предает огню...“ (Подстрочный пере-вод С. Иорданишвили, стр. 951).

Опираясь на эти строки, некоторые исследователи считают, что Руставели осведомлен о вращении планет вокруг Солнца; более того, что Руставели, „развив эту идею, создал прогрессивную, отличную от общеприз-нанной системы Птоломея, собственную систему, известную сегодня под названием гео-гелиоцентрической“ (Г. А. Тевзадзе;, Космология Руставели, Тб., 1984).

В статье оспаривается эта точка зрения. Доказывается, что в указанной строке не говорится о вращении Меркурия вокруг Солнца и вообще в поэме нет никаких новых, неизвестных в сердние века, представлений о небесных светилах. Опираясь на известные с древних времен астро-номические и астрологические представления, Руставели, пользуясь ас-тральной символикой, создает оригинальный художественный образ: влю-блленного героя, как планету Меркурий, не отпускает от себя возлюбленная — Солнце, притягивает к себе и, сближаясь, сжигает.

E. KHINTIBIDZE

ON THE INTERPRETATION OF ONE OF THE IMAGES IN "THE MAN IN THE PANTHER'S SKIN"

Summary

Avtandil, a personage in Rustaveli's poem, being enamoured of Queen Tinatin, compares his own fate with that of the planet Mercury (Otarid).

„Otarid! save thee none other's fate is like to mine.
The sun whirls me, lets me not go, unites with me
and gives me over to burning“. (A close rendering by M. S. Wardrop.
quatrains 942, London, 1912).

Proceeding from these lines, some researchers believe that Rustaveli had knowledge of the revolution of the planets round the Sun, furthermore, that Rustaveli „having developed this idea, created his own progressive system, differing from the generally acknowledged Ptolemaic system and known today under the name of geo-heliocentric“ (G. A. Tevzadze, Rustaveli's Cosmology, Tbilisi, 1984).



The author of the present paper takes issue with his point of view. It is argued that the lines just quoted do not refer to Mercury's revolution round the Sun, and that, in general, the poem does not contain any new concepts of heavenly bodies that were unknown in the Middle Ages. Resting on time-honoured astronomical and astrological notions and resorting to astral symbolism, Rustaveli created an original image: like in the Sun-Mercury relationship, the lady in love (the Sun) does not let the man she loves go, but, uniting with him, gives him over to burning.

Однако в своем комментарии к стихам о Солнце и Луне в «Симоне и Гургене» А. М. Туманян пишет: «Все же надо сказать, что в «Симоне и Гургене» есть и другие, не астрономические, астрофизические и даже космологические элементы, связанные с темой любви. Так, в «Симоне и Гургене» есть и описание звездного неба, и описание планетарных движений, и описание земли как планеты. Но это не означает, что в «Симоне и Гургене» нет астрономии. Важно то, что в «Симоне и Гургене» астрономия не является самостоятельной темой, а является лишь средством для передачи идеи о любви. Идея о любви является основным содержанием поэмы». А. М. Туманян пишет, что в «Симоне и Гургене» есть и описание звездного неба, и описание планетарных движений, и описание земли как планеты. Но это не означает, что в «Симоне и Гургене» нет астрономии. Важно то, что в «Симоне и Гургене» астрономия не является самостоятельной темой, а является лишь средством для передачи идеи о любви. Идея о любви является основным содержанием поэмы».

3. KHMINTIBIDZE

